პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი | № 65 (11676) | პარასკევი, 18 მარტი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ვამაყობთ თქვენი გმირობით

უმცროს სერჟანტს ასხატ რახიმზიანის-ძე **ზიგანშინს**, რიგითს ჯარისკაცებს ფილიპე ბრიგოლის-ძე **პოკლავსკის**, ანატოლი თეოდორეს-ძე **კრიუჩკოვსკის**, ივანე ეფთიმეს-ძე **ფედოტოვს**

ძვირფასო ამხანაგებო,

ჩვენ ვამაყობთ და აღტაცებული ვართ თქვენი სახელოვანი გმირობით, რომელიც მკაფიო გამოვლინებაა საბჭოთა ადამიანების მამაცობისა და მხნეობის სტიქიის ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. თქვენი გმირობა, სიმტკიცე და გამძლეობა მეომრის მოვალეობის უნაკლო შესრულების მაგალითია.

თქვენი გმირობით, უმაგალითო გულადობით თქვენ გაამრავლეთ ჩვენი სამშობლოს დიდება, რომელიც [illegible] ასახავენ მამაცი ადამიანები, და საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი გულადი და ერთგული შვილებით.

გისურვებთ, ძვირფასო თანამემამულენო, ჯანმრთელობას და სამშობლოში მალე დაბრუნებას.

ნ. ხრუშჩოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 16 მარტი.

გმირობა, მამაცობა, სულის ძლიერება

ჩვეულებრივი, საბჭოთა ადამიანები ვართ! ასე უპასუხა საბჭოთა ჯაბუკმა, უმცროსმა სერჟანტმა ასხატ ზიგანშინმა უცხოელი ჟურნალისტის კითხვაზე: იცით კი თქვენ თვითონ, რა ადამიანები ხართ?

ჯარისკაცის ეს უბრალო სიტყვები მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ადამიანის განსაკუთრებულ თავმდაბლობას, ღირსების მაღალ გრძნობას, ხასიათის მშვიდ, მტკიცე ძალას — ახალი სამყაროს ადამიანისა, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა.

როცა დიდი სამამულო ომი დამთავრდა, უფროსი მათგანი მხოლოდ ექვსი წლისა იყო. და ოთხივემ სამშობლოსათვის ბრძოლებში მათი მამებისა და ძმების მხედრული გმირობის, საგმირო საქმეების შესახებ მხოლოდ სხვების ნაამბობით იცის. მაგრამ მთელი საბჭოთა ცხოვრებით, მთელი ჩვენი გმირული სინამდვილით ისინი მომზადებული და აღზრდილი იყვნენ ყოველგვარი სიძნელის გადასალახავად, რომლებიც შეიძლება ცხოვრების გზაზე შეხვდეს საბჭოთა ახალგაზრდობას.

და აი დღეს მთელი მსოფლიო აღტაცებით ლაპარაკობს საბჭოთა ჯაბუკების ასხატ ზიგანშინის, ფილიპე პოპლავსკის, ანატოლი კრიუჩკოვსკისა და ივანე ფედოტოვის გმირობაზე. გაჭირვებაში ჩავარდნილნი, მძვინვარე სტიქიის მიერ მშობლიური მიწა-წყლის ნაპირებს მოწყვეტილნი, რომლებმაც ყოველგვარი კავშირი დაკარგეს სამყაროსთან, ისინი 49 დღეს პატარა გემით დაცურავდნენ ოკეანის უსაზღვრო სივრცეებში, შეუპოვარი ბრძოლით სძლევდნენ ბუნების ბნელ ძალებს. ამ უმაგალითო ბრძოლიდან ახალგაზრდა საბჭოთა გმირები გამარჯვებულნი გამოვიდნენ, და ვერაფერმა ვერ შეარყია მათი სულისკვეთება, ვერ გატეხა მათი ნება.

საბჭოთა ხალხი აღტაცებულია თავისი შვილების გმირობით. ჩვენი ხალხის გრძნობები მკაფიოდ გამოხატულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელ დეპეშაში ამ მამაცი ადამიანებისადმი:

„თქვენი გმირობით, უმაგალითო გულადობით თქვენ გაამრავლეთ ჩვენი სამშობლოს დიდება, რომელმაც აღზარდა ესოდენ მამაცი ადამიანები, და საბჭოთა ხალხი სამართლიანად ამაყობს თავისი გულადი და ერთგული შვილებით“.

საბჭოთა სამშობლო! მისადმი სიყვარული განსაზღვრავს საბჭოთა ადამიანის მთელ ფიქრებსა და გრძნობებს, ქცევასა და მოქმედებას, რა პირობებშიც უნდა იყოს იგი, რა გარემოებაშიც უნდა იმყოფებოდეს. და სავსებით გასაგებია, რომ, მხურვალე მადლობას უხდიდნენ რა თავიანთ მხსნელებს — ამერიკელ მეზღვაურებს, საბჭოთა ჯაბუკები მხოლოდ ერთს ფიქრობდნენ: მალე დაბრუნდნენ სამშობლოში. ჩვენი ქვეყანა მოელის თავის გმირებს, უმზადებს მათ სასიხარულო შეხვედრას.

მსოფლიო ლიტერატურაში ბევრია მოთხრობილი იმის შესახებ, თუ რა გაჭირვებას განიცდიდნენ ადამიანები, რომლებიც ბედის უკუღმართობით ოკეანეში ყოფილან დაკარგულნი. იყვნენ მათ შორის ისეთებიც, რომლებიც გამოირჩეოდნენ ვაჟკაცობით და მამაცობით. მაგრამ ჯერ არასოდეს არ ყოფილა, რომ განუწყვეტელი საფრთხის წინაშე და ასე დიდხანს ადამიანთა კოლექტივს შეენარჩუნებინოს თავდაჭერილობა, გამძლეობა, დისციპლინა, მოვალეობის, ამხანაგობის გრძნობა, მაღალი მორალური თვისებები და შეგნებულობა. ასეთი მაგალითი ცხადყოფს საბჭოთა ადამიანებმა.

რით ავხსნათ მათი გმირობა, რა ძალა დაეხმარა მათ გადაელახათ განუზომელი სიძნელეები? ისინი თვითონ უპასუხებენ ამაზე. „ჩვენი მეგობრობა. ასე ვართ აღზრდილნი“, — ამბობს ანატოლი კრიუჩკოვსკი.

ოთხი საბჭოთა ადამიანის გმირობაში, როგორც მზე წყლის წვეთში, ასახულია საბჭოთა ცხოვრების წესის ნიშნები: ხალხთა მეგობრობა და ურთიერთდახმარება, ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ცხოველმყოფელი და ქმედითი საბჭოთა პატრიოტიზმი. ვინ არიან ეს გმირები? უბრალო საბჭოთა ადამიანები, გუშინდელი მუშები და კოლმეურნეები ჩვენი თვალწინდანი სამშობლოს სხვადასხვა ადგილიდან — დნეპრის, ვოლგის, ამურის ნაპირებიდან. მათ აერთიანებს ერთი ფიქრი, ერთი გრძნობა — თავიანთი დიდი სოციალისტური სამშობლოს, თავიანთი ხალხისადმი — კომუნიზმის მშენებლისადმი სამსახური.

როცა ვუფიქრდებით საბჭოთა გმირების მამაცობას, მეხსიერებაში წარმოგვიდგება უქრობი შუქით ელვარე ლენინური სიტყვები: „ჩვენ მივდივართ მჭიდ-

ПРАВДА

რო ჯგუფად კლდოვანი და ძნელი გზით, მაგრად ხელიხელჩაკიდებულნი“. ასე ახასიათებდა ვ. ი. ლენინი პირველ რევოლუციონერ მებრძოლებს სოციალიზმისათვის, რომლებმაც მთელი თავიანთი სიცოცხლე ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას მოახმარეს. ჩვენმა საბჭოთა ახალგაზრდობამ შეითვისა, შეისისხლხორცა კომუნისტთა ლენინური პარტიის გმირული ტრადიციები. წყნარი ოკეანის გმირები ცოცხალი განსახიერება არიან მებრძოლი საბჭოთა ახალგაზრდობისა, რომელიც ბოლომდე ერთგულია კომუნიზმის დიადი საქმისა. ხიფათიანი და ძნელი იყო მათი გზა, მაგრამ მათ მაგრად ხელიხელჩაკიდებულებმა, იგი პირნათლად გაიარეს, ყველა დაბრკოლება და ზღუდე გადალახეს. ჩვენი ახალგაზრდობის მისწრაფებას კარგად გამოხატავს ცნობილი „ენთუზიასტების სიმღერის“ სიტყვები:

ზღვასა და ხმელეთს გადავლახავთ
ბობოქარ დროსაც,
ჩვენ არ გვაშინებს არც ყინული
და არც ღრუბლები.
მტკიცედ დავიჭერთ ჩვენი ქვეყნის
ლაღფრთიან დროშას —
საუკუნეებს, სამყაროებს
ჩვენ ვესტუმრებით.

საბჭოთა გმირების სიმამაცემ დიდად აღაფრთოვანა მსოფლიო საზოგადოებრიობა, გამოიწვია ცხოველი ინტერესი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მათ მხურვალედ შეხვდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ისინი მივიდნენ მძიმე განსაცდელის შემდეგ. ამერიკელ მეზღვაურთა კეთილშობილური საქციელი, საბჭოთა ჯაბუკებისადმი ამერიკის ხელისუფალთა მზრუნველი დამოკიდებულება საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ იმ მეგობრობის გამოხატულებად, რომელიც ვითარდება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დეპეშებში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ დუაიტ დ. ეიზენჰაუერისადმი და ქალაქ სან-ფრანცისკოს მერის ბ-ნ ჯორჯ კრისტოფერისადმი მადლობა გამოთქვა ოთხი მამაცი საბჭოთა ჯაბუკის გადარჩენისათვის, იმისათვის, რომ მათ გულთბილი და მეგობრული მიღება მოუწყეს.

საგულისხმოა რიგითი ამერიკელების განცხადებანი. მეზღვაური ჯორჯ კელი ამბობს: „განცვიფრებული ვარ, სიტყვები არ მყოფნის. რომ ვამოვთქვა ჩემი აღტაცება მათი გმირობის გამო“. „რუსები, — განაცხადა ჯზების შემკეთებელმა მუშამ პიტერ ფოქსმა, — ჩემი შეხედულებით, რაღაც არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. მე მათ ვიცნობ ჯერ კიდევ წარსული ომიდან, როცა ერთად ვიბრძოდით ევროპაში. გახსოვთ მათი სტალინგრადი? გახსოვთ, როგორ გადაუმტვრიეს ხერხემალი ჰიტლერს? ეს ხომ სასწაულია! და დღეს ამ სასწაულს, როგორც ხედავთ, ისინი განაგრძობენ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ბიჭები ასევე მოიქცეოდნენ ბრძოლაშიც. რუსები, ალბათ, ყველანი ასეთები არიან“.

საბჭოთა ჯარისკაცის მკაფიო სახე მოგვცა მ. შოლოხოვმა თავის შესანიშნავ მოთხრობაში „ბედი კაცისა“. ამ მოთხრობის გმირი ანდრია სოკოლოვი არაჩვეულებრივი სულიერი ძლიერების ადამიანია. ომის ჭარცცეცხლში გამოვლილი, იგი ვერ გატეხა, ვერ დაამარცხა ომმა. აი მოდის იგი თავისი პატარა ნაშვილევი ვაჟით. ავტორთან ერთად მკითხველს სჯერა, რომ „ეს რუსი ადამიანი, შეუდრეკელი ნების ადამიანი, გაუძლებს, და მამის გვერდით გაიზრდება ის, ვინც, დავაჟკაცების შემდეგ, ყველაფერს გაუძლებს, ყველაფერს გადალახავს თავის გზაზე, თუ ამისათვის მას სამშობლომ მოუწოდა“. ასეთები არიან ისინი, ჩვენი დღევანდელი გმირები, პატარა სოკოლოვის დავაჟკაცებული თანატოლები.

საბჭოთა ქვეყანა აღსავსეა ხახიცოცხლო ძალებით. ყოველი მისი დღე აღსავსეა დაძაბული შრომით, ხალხის მასობრივი გმირობით, რომელიც ახორციელებს სკკპ XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ოთხი საბჭოთა ჯაბუკის გმირობა, რომლებმაც მამაცურად გადაიტანეს სტიქიასთან ბრძოლა, ცხადყვეს სამშობლოსათვის სამსახურის მაგალითი, აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას, ყველა საბჭოთა ადამიანს ახალი სასახელო საქმეებისათვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად, კომუნიზმის გასამარჯვებლად.

17 მარტის მოწინავე.

სურათებზე: (ზემოდან მარცხნივ) **ზიგანშინი, პოკლავსკი, კრიუჩკოვსკი** და **ფედოტოვი.**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს
ბ-ნ დუაიტ დ. ეიზენჰაუერს
ქალაქი ვაშინგტონი

პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო,

ნება მიბოძეთ დიდი მადლობა მოგახსენოთ თქვენ, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობას ოთხი მამაცი საბჭოთა ჯარისკაცის გადარჩენისათვის, რომლებიც მრავალი დღის განმავლობაში გმირულად ებრძოდნენ სტიქიასა და გაჭირვებას წყნარი ოკეანის სივრცეებში.

ამერიკელ მეზღვაურთა კეთილშობილური ქცევა, საბჭოთა ჯაბუკებისადმი ამერიკის ხელისუფალთა მზრუნველი დამოკიდებულება საბჭოთა ადამიანებს მიაჩნიათ იმ მეგობრული ურთიერთობის გამოხატულებად, რომელიც ჩვენს ქვეყნებს შორის ვითარდება. ვისურვებდი, რომ ამან ხელი შეუწყოს ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საქმეს, რომელსაც თქვენ და მე ცოტა დრო როდი მოვახმარეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი ამასწინანდელი საუბრების დროს და რომლისთვისაც, იმედი მაქვს, ჩვენ ორივენი არ დავიშურებთ ძალღონეს ჩვენი მომავალი შეხვედრების დროს.

პატივისცემით

ნ. ხრუშჩოვი

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 16 მარტი.

ქალაქ სან-ფრანცისკოს მერს
ბ-ნ ჯორჯ კრისტოფერს
ქალაქი სან-ფრანცისკო

პატივცემულო ბ-ნო მერო,

ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ თქვენ და სან-ფრანცისკოს მცხოვრებლებს გულთბილი და მეგობრული მიღებისათვის, რომელიც გაუწიეთ ოთხ საბჭოთა ჯაბუკს, მამაცურად რომ გადაიტანეს სტიქიასთან ბრძოლა.

დაე ამერიკელ მეზღვაურთა კეთილშობილურმა მოქმედებამ საბჭოთა ადამიანების გადასარჩენად და თქვენმა გულითადმა მზრუნველობამ ამ ადამიანებისათვის ხელი შეუწყოს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას. საბჭოთა ადამიანები არ დაივიწყებენ ამერიკელ მეზღვაურთა ამ უაღრესად ჰუმანურ აქტს და იმ სითბოს, რომელიც გადარჩენილებისადმი გამოიჩინეთ თქვენი მშვენიერი ქალაქის სან-ფრანცისკოს მოსახლეობამ და პირადად თქვენ.

ნ. ხრუშჩოვი

მოსკოვი, კრემლი, 1960 წლის 16 მარტი.

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრს ტომას ს. ჰეიზს

პატივცემულო ბ-ნო მინისტრო!

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრო გამოთქვამს მადლობას ამერიკის ავიამზიდ „კირსარჯის“ მეთაურისა და პირადი შემადგენლობისადმი ოთხი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურის გადარჩენისათვის, რომლებსაც შტორმმა მოუსწრო წყნარ ოკეანეში.

ავიამზიდის ეკიპაჟმა დიდი მზრუნველობა და ყურადღება გამოიჩინა გადარჩენილი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებისადმი, რაც მოწმობს იმას, რომ ამერიკელი მეზღვაურები იცავენ მეზღვაურის კარგ ტრადიციებს, და ხელს უწყობს ჩვენს ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცებას.

პატივისცემით

რ. მალინოვსკი,

საბჭოთა კავშირის მარშალი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი.

1960 წლის 16 მარტი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააწესეს, რომ ლენინური პრემიები, მეცნიერულ ნაშრომებთან, გამოგონებებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებთან ერთად, მიენიჭება აგრეთვე თვალსაჩინო ნაშრომებისათვის ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის დარგში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

პროფესორ ვ. ვ. ვორონინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, პროფესორ ვ. ვ. ვორონინის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით და მედიცინის მეცნიერების განვითარებაში მისი დიდი დამსახურებისათვის დაჯილდოვდეს ამხ. ვლადიმერ ვასილის-ძე **ვორონინი ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 17 მარტი.

ასპინძაში არ ჩქარობენ

ასპინძის რაიონში მხოლოდ მთებს თუ შემორჩა თოვლის თეთრი საბურველი. გაზაფხულა ძალაში შედის. თესვის დაწყებამდე ცოტა დრო რჩება. იქ, სადაც გული შესტკივათ მოსავლისათვის, ძალიერებენ საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ტემპს.

უთესლოდ ყანა არ მოვაო, ამბობს ხალხური ანდაზა. ვერც უხარისხო თესლი მოიყვანს მოსავალს. ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ბევრგან კარგად ითვალისწინებენ. სოფლების ოთის, დამალასა და ხიზაბარის კოლმეურნეობებში დროულად მოიმარაგეს საგაზაფხულო კულტურების თესლი და კონდიციამდე აიყვანეს.

სამწუხაროდ, ასე როდია ყველგან. გაზაფხულის ქერის თესლი მთლიანად უკონდიციო აქვთ სოფლების იდუმალს, ოშორის, საროს, ვარგავის, ნაკალაქევის, თმოგვის კოლმეურნეობებს. სოფელ აწყვიტის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ბერიძე) შარშან ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 6,3 ცენტნერი მარცვლეული მიიღეს. როგორც ჩანს, აქ წელსაც არ ითვალისწინებენ გასული წლის მწარე გაკვეთილს. მხოლოდ ასეთ დამოკიდებულებას შეიძლება მიეწეროს ის ფაქტი, რომ კოლმეურნეობაში არა აქვთ სიმინდის თესლი. აქ 11 მარტისათვის არცერთი ცენტნერი გაზაფხულის ქერის თესლი არ ჰქონდათ კონდიციამდე აყვანილი. არა აქვთ ერთწლიანი და მრავალწლიანი ბალახების სათესლე მასალა.

რაიონში 11 მარტის მდგომარეობით გეგმით გათვალისწინებული 2.000 ცენტნერი გაზაფხულის ქერის თესლიდან კონდიციურია მხოლოდ 1.460 ცენტნერი. გაღივების მხრივ დაწუნებულია 704 ცენტნერი კარტოფილის თესლი, აკლიათ 249 ცენტნერი ერთწლიანი ბალახების თესლი.

ნელი ტემპით მიმდინარეობს მინერალური სასუქების შემოზიდვა და ნაკელის გატანა. გეგმით გათვალისწინებული 13.100 ტონის ნაცვლად კოლმეურნეობებს მინდვრად გაზიდული აქვთ მხოლოდ 2.225 ტონა ორგანული სასუქი. 1 მარტისათვის ნაკელის გატანა დაწყებულიც არ ჰქონდათ სოფლების ოშორის, ორგორის, აწყვიტის, ქუნცის, ხერთვისისა და ნაკალაქევის კოლმეურნეობებს.

შარშანდელთან შედარებით წელს კოლმეურნეობებში უკეთ მოეწყო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთება. მაგრამ ამ მხრივაც ყველგან კარგად როდია საქმე. სოფელ ძველის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე დ. ზედგინიძე) წელს გეგმით 2 ტრაქტორი უნდა შეეკეთებინა, მაგრამ არცერთის რემონტი არ არის დამთავრებული. აქედან ერთი „დტ-54“ მარკის ტრაქტორი სრულმონტაჟ-ტექნიკური სადგურის სახელოსნოში დგას. სახელოსნოში ჭიანურდება აგრეთვე სოფლების ოთისა და ოშორის კოლმეურნეობების ორი ტრაქტორის რემონტი. კოლმეურნეობებში ტრაქტორის 25 გუთნის ნაცვლად შეკეთებულია 14 გუთანი.

შვიდწლედის მეორე წელს ასპინძის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა სერიოზული ვალდებულებები იკისრეს. მარცვლეულის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აყვანილ უნდა იქნას 11 ცენტნერამდე, კერძოდ, სიმინდისა — 23 ცენტნერამდე.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად საჭიროა სასწრაფოდ აღმოიფხვრას საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში არსებული ნაკლოვანებანი, რათა მტკიცე საფუძველი ჩაუყაროთ მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

ჰ. ხვადაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საკოლმეურნეო მინდვრებზე

სამტრედია რაიონის მეჩაიეები უკვე ამთავრებენ ჩაის პლანტაციების გადაბარვას და სასუქების შეტანას. სოფელ ჯიხაიშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მთლიანად დაამთავრეს 39 ჰექტარი ჩაის პლანტაციის ნიადაგის გადაბარვა და გასხლეს 10 ჰექტარი. აგრეთვე უნდა გაესხლათ 16 ჰექტარი ხეხილი. ეს სამუშაოც დაამთავრეს. მასობრივად შეუდგნენ ბოსტნეულის თესვას კვალსათბურებში. საგაზაფხულო სამუშაოებში დაწინაურდა მესამე ბრიგადა, რომელსაც ა. მანჯგალაძე ხელმძღვანელობს.

ლაგოდეხი ლაგოდეხელი მეთამბაქოეები მასობრივად თესავენ თამბაქოს სათბურებში. მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა ეს სამუშაო დაამთავრეს. სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ გეგმით გათვალისწინებული 5.000 კვადრატული მეტრი თამბაქო დათესეს. ცოდნისკარის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობამ დათესა 4.400 კვადრატული მეტრი თამბაქო. ამით დავალება მთლიანად შესრულა.

სოფელ აფენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 4.700 კვადრატული მეტრის ნაცვლად დათესა 5.412 კვადრატული მეტრი თამბაქო. რაიონის კოლმეურნეობებში მარტო ერთ დღეს დათესეს ათასობით კვადრატული მეტრი თამბაქო.

ჩხოროწყუ ახალი ძალითა გაჩაღდა მუშაობა მინდვრის სამუშაოების სწრაფად დამთავრებისათვის. კოლმეურნეობაში დამთავრდა ჩაის პლანტაციების ნიადაგის გადაბარვა ფოსფოროვანი სასუქის შეტანით. დაიწყო ჩაის ბუჩქების გასხვლა. წარმატებით ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი დამთავრეს. კოლმეურნეობის ტრაქტორები მინდვრებზე გეგუნებენ, საჭირო კონდიციური თესლი მზად არის.

აღსანიშნავია, რომ ჩხოროწყუს რაიონში წელს უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს ყველა სამუშაო. რაიონმა წარმატებით შეასრულა ჩაის ახალი პლანტაციის გაშენების გეგმა, კოლმეურნეობებში სიმინდის დათესვა ფართობების ხვნა დასასრულს უახლოვდება.

შირაქის ველზე

წითელწყაროს რაიონის მშრომელებმა, რომლებიც შვიდწლიანი გეგმის 5 წელიწადში შესრულებისათვის იბრძვიან, გადაწყვიტეს წელს 9.855 ჰექტარის ნაცვლად სიმინდი 12.000 ჰექტარზე დათესონ, მზესუმზირა კი — 5.075 ჰექტარზე. ამასთან პირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის კულტურული ბალახები, საკვები ძირნაყოფები და ბაღჩეული დათესონ 5.489 ჰექტარზე. მექანიზატორებმა უკვე დაამთავრეს ტექნიკის მომზადება. და შეუდგნენ ნიადაგის საგაზაფხულო თესვისწინა დამუშავებას, კოლმეურნეებმა კი დაამთავრეს თესლის კონდიციამდე აყვანა.

დროებით მიყრუებული მინდორ-ველი კვლავ გამოაცოცხლა კოლმეურნეთა ხმამ და ტრაქტორების გუგუნმა. საკოლმეურნო მინდვრებზე უკვე შეუდგნენ საგაზაფხულო თესვას სოფელ საბათლოს შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები. მ. ოგანატანიანისა და ა. სეროფიანის სათესმა აგრეგატმა მზესუმზირა კვადრატულ-ბუდობრივად უკვე 40 ჰექტარზე დათესა.

შირაქის ველზე გამოჩნდნენ სოფელ ზემო მაჩხანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორები. მათ პირველ ორ დღეს 125 ჰექტარზე დათესეს შვრია, ხოლო დაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ტრაქტორისტებმა გ. სუხიტაშვილმა, ვ. ნასიბოვმა და მ. კონვერეომა მოამზადეს 100 ჰექტარი მზრალი გაზაფხულის ქერის დასათესად. ტარიბანაში უკვე მზად აქვთ 80 ჰექტარი ნაკვეთი, რომლებზეც სასილოსე მასის მისაღებად დათესავენ სიმინდს.

რამდენიმე დღეც, და შირაქის ველზე მასობრივად გაჩაღდება საგაზაფხულო თესვა.

გ. გოჩიტაშვილი.

დიდი მეცნიერი

ვლადიმერ ვასილის-ძე ვორონოვი დაიბადა 1870 წელს ტულის გუბერნიის სოფ. ნიკოლსკოეში, აგრონომის ოჯახში. სამ ათეულ წელზე მეტია, რაც იგი ერთგულად ემსახურება ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა სამედიცინო კადრების მომზადებას. იყო რა ათეული წლების განმავლობაში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორად, მან დიდი ამაგი დასდო ჩვენი მშობლიური საბჭოთა სამედიცინო მეცნიერების განვითარებას.

ვორონინმა მეცნიერული მოღვაწეობა დაიწყო სტუდენტობის დროს. ის ჯერ კიდევ მოსკოვის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი იყო, როცა პირველად გამოაქვეყნა თავისი შესანიშნავი შრომები, რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი იქვე მუშაობდა რამდენიმე წელიწადს.

1908 წელს ვორონინი ოდესის უნივერსიტეტის პროფესორად მიიწვიეს, მის ლექციებზე აღიზარდნენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერები. ოდესის სამედიცინო ინსტიტუტის პირველი დირექტორი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ვ. ვ. ვორონინი იყო.

1923 წელს იგი მოიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პათოლოგიური ფიზიოლოგიის პროფესორად. საქართველოს ექიმთა დიდ უმრავლესობას სტუდენტობის წლებში მოსმენილი აქვს მისი შესანიშნავი ლექციები, და ყველა ისინი სიამაყის გრძნობით იგონებენ ვ. ვ. ვორონინს, როგორც თავის სათაყვანებელ მასწავლებელს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით სადისერტაციო ნაშრომები დაამუშავა მრავალმა ქართველმა მეცნიერმა, მათ შორის აკადემიკოსმა კ. ერისთავმა, პროფესორმა ი. ლორთქიფანიძემ, გ. დიდებულიძემ, ა. ბეიშვილმა და სხვ. მან საქართველოში აღზარდა ახალგაზრდა სპეციალისტები პათოლოგიური ფიზიოლოგიის დარგში და ამით მყარი საფუძველი ჩაუყარა ამ მეცნიერებას ჩვენს რესპუბლიკაში.

ვ. ვორონინი ნაყოფიერ სამეცნიერო კვლევითს მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში. სამეცნიერო მოღვაწეობის 70 წლის განმავლობაში მან შექმნა მრავალი საყურადღებო შრომა, რომლებსაც დიდი მეცნიერული ღირებულება აქვს.

ვორონინის ხანგრძლივი უმწიკვლო სამეცნიერო მუშაობა ღირსეულად დააფასა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით და მედლებით. ახლა მისი ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოება ღირსეული დაფასებაა ამ შესანიშნავი ადამიანისა და მეცნიერის.



დ. გედევანიშვილი,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

1870 — 1960 ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ვ. ი. ლენინი — ორატორი, პროპაგანდისტი

ᲢᲝᲠᲝᲜᲝᲕᲔᲚᲘᲫᲔ ᲛᲐᲚᲐᲥᲘᲐ იყო ჟურნალისტი, ლიტერატორი, პარტიის წევრი 1902 წლიდან. იგი საზღვარგარეთ ყოფნის დროს ხვდებოდა ვ. ი. ლენინს, იმახსოვრებდა მის რეფერატებს, მოხსენებებსა და სიტყვებს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, მუშაობდა ბოლშევიკური გაზეთების „ბრძოლისა“ და „კავკასიური რაბოჩის“ redაქციებში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების დღიდან ტოროშელიძე იმყოფებოდა პასუხსაგებ თანამდებობებზე.

გრძელ მაგიდასთან გამოჩნდა ლენინის სახე.

არავითარი ჟესტი, არავითარი მანერები, ხელებსაც არ აქანებდა. იგი ცოტათა იხრებოდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ, რაც თითქოს გამოწვეული იყო მის მიერ გამოთქმული მოზღვავებული გრძნობებითა და აზრების ძლიერი ტალღით; ლაპარაკობდა ისე შეუდარებლად, როგორც არავის არ ულაპარაკია დედამიწის ზურგზე ამ თემის შესახებ.

როგორი ღრმა პატივისცემა გამოიხატებოდა ყოველ მის სიტყვაში პარიზის კომუნისა და პირველი დიდი კომუნარებისადმი, როგორ სიყვარულს იგრძნობდით ამ მომავალი კომუნარის ყოველ გამოთქმაში, დიახ, სიყვარულს. ლენინმა კი იცოდა სიყვარული ლენინისებური: მთელი თავისი სულით და გულით. სიხარულს გრძნობდით იმ კომუნართა მაგიერ, რომელთაც თუმცა ასეთი სასტიკი ბედი ეწიათ, მაგრამ ახლა ქვეყნად არსებობს თუნდ ერთი კაცი, რომელიც ასე დიდად აფასებს მათ, ასე ღრმად ესმის მათი სულისკვეთება. და ასეთი გრძნობით უყვარს ისინი.

ლენინი ბრძანებითი კილოთი მოგვიწოდებდა მთელი ჩვენი არსებით განგვეცადა ის დიდი საქმე, რომლის დაცვას თავი შესწირეს კომუნარებმა. მან, როგორც ჭეშმარიტმა მხატვარმა, გადაგვიშალა წინ უზარმაზარი სურათი დიდი იდეალისათვის ბრძოლისა, რომელიც ხშირად ძალთა უთანასწორობის გამო დასაღუპად არის განწირული და რომელიც, მიუხედავად ათასი დამარცხებისა, კიდევ თავისკენ იწვევს ახალ გმირებსა და ახალ თაობათ. იგი თითქოს ყოფილიყოს ერთ-ერთი ამ კომუნართაგანი, მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერი, მედგარი და შეუპოვარი, რომელიც ვერ შერიგებია დამარცხების აზრს და თითქოს მოგვიწოდებდა პარიზის კომუნის დასახმარებლად. ამ წუთში მთელი აუდიტორია, როგორც ერთი კაცი, მას თან წაყვებოდა ცეცხლსა და წყალში.

ჩვენ ყველამ ვიცოდით პარიზის კომუნა. მაგრამ ლენინმა გვაგრძნობინა იგი მთელი ჩვენი არსებით. კომუნარები ჩვენს თვალში ერთბაშად ამაღლდნენ გოლიათის სიმაღლემდე და კაცობრიობის ისტორიაში დაიკავეს მიუწვდომელი ადგილი, მაგრამ ისინი ეკუთვნიან არა წარსულს, არამედ მომავალს. ესენი არიან ჩვენი ამხანაგები, რომელიც არახელსაყრელ პირობებში იძულებულნი იყვნენ შებრძოლებოდნენ კაპიტალს და რომელნიც გმირულად დაეცნენ ამ ბრძოლაში და ეს პირები, ლენინის წყალობით, ასეთი ახლობელი და ასეთი ძვირფასნი შეიქმნენ ჩვენთვის.

მაგრამ ლენინი მაშინ ლენინი აღარ იქნებოდა, რომ თუნდ ასეთ საზეიმო დღეს მარტო თაყვანი ეცა დიდ მებრძოლთა ხსოვნისათვის და ამასთანავე არ გაკრიტიკებინა კომუნარები ისეთი პირდაპირობით, როგორც ეს მას ჩვეულებად ჰქონდა ყველა იმ პირთა მიმართ, რომელიც გულწრფელად სცდებოდნენ.

ის აკრიტიკებდა მათ მერყეობისათვის, რომ მალე ვერ შეაკავშირეს თავიანთი ძალები და ვერსალზე მოულოდნელი შეტევით ვერ დაამარცხეს მოწინააღმდეგე და ვერ დაანგრიეს მათი ბუდე. აკრიტიკებდა და თითქმის აღელვებულიც იყო იმის გამო, რომ კომუნარებს რაღაც საღვთო შიში ჰქონდათ სახელმწიფო ბანკისა, რომელსაც ისინი უელიდნენ და იცავდნენ იმის მაგიერ, რომ ეს სიმდიდრე სარეოლუციო საქმისათვის გამოეყენებინათ. არ დავიწყებია მას აგრეთვე ხაზი გაესვა იმ უთანხმოებისათვის, რომელიც არსებობდა კომუნის უმრავლესობასა და უმცირესობას შორის, რამაც ხელი შეუშალა მათ ძლიერი ცენტრის შექმნაში: ეს კი გადამწყვეტი მოქმედების დროს აუცილებლობას წარმოადგენდა.

თავისი მოხსენება მან გააკეთა გრძელი პერიოდული წინადადებით, საიდანაც ჩემს მახსოვრობაში დარჩა მხოლოდ უკანასკნელი სიტყვები: „...კომუნა მუდამ იქნება პროლეტარიატისათვის მანათობელ ვარსკვლავად და საერთაშორისო პროლეტარიატი კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად წაუა ყიჟინით: გაუმარჯოს კომუნას, გაუმარჯოს სოციალურ რეოლუციას“!

დამახასიათებელია ის, რომ ლენინმა ეს უკანასკნელი ლოზუნგი წარმოთქვა შთაბეჭდილება მოახდინა მათზე ლენინმა.

მე მესმოდა ლაპარაკი ჩემ გვერდით მდგომი ფირადოვისა, რომელიც იმ წელს ასრულებდა საექიმო ნაწილს, და გამიკვირდა: ნუთუ ეს მხიარული კაცი, რომელმაც არავითარი დარდი და მწუხარება არ იცის, ისე გიტაცა ლენინმა, რომ ასე ტკბილად ლაპარაკობს და ბავშვური აღფრთოვანებით იმეორებს ერთსა და იმავეს: რა მშვენივრად ლაპარაკობდ! ამ ახალგაზრდამ, რომელსაც დამცინავი ენა ჰქონდა, ვეღარ მოითმინა და თავისებურად ამ სიტყვებში ერთი ქართული უცენზურო სიტყვა ჩაურთო, რაც, ცხადია, აქ არ მომყავს.

მე ძლივსძლივობით მივდიოდა სადღესასწაულო გუნებაზე განწყობილ შეკგუფებულ ხალხში, რომელიც ამ წუთში ბედნიერად გრძნობდა თავს.

მე მინდოდა მეტი გამეგო: ის ხომ ლაპარაკობდა ლენინისებურად, როგორც უმრავლესობის მომხრე? (ე. ი. როგორც ბოლშევიკი; ეს ეარგონი მაშინ კიდევ არ იყო განმტკიცებული).

— დიახ, ეს მართალია, — მიპასუხა მან, — მაგრამ მას, როგორც ორატორს, ბადალი არა ჰყავს: მთელ რუსეთში არ არის მაგისთანა ორატორი.

ამის წინაალმდეგ პროტესტი განაცხადა პლეხანოვის თაყვანისმცემელმა ქართველმა ქალმა.

— პლეხანოვი?! ნუთუ ლენინი, როგორც ორატორი, პლეხანოვზე უკეთესია?

...პლეხანოვი ორატორია ევროპული გაგებით, მას კარგი მანერები და ენა ქვს; ის (ლენინი) კი ორატორია რუსული გაგებით, როგორც აგიტატორი და რეოლუციონერი.

გამოდიოდა, რომ ლენინს ბადალი არა ჰყავდა არა თუ რუსეთში, არამედ დედამიწის ზურგზე, მე თავი შევიკავე და ეს აზრი აღარ მიკარნახია ჩემი თანამოსაუბრისათვის.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მე ბევრი რამე ვნახე, მინახავს პირველხარისხოვანი არტისტები, რომელნიც „მთელ ქვეყანაზე იყვნენ განთქმულნი, მინახავს ორატორები, მინახავს ჟორესი. მინახავს თვით ლენინიც სხვა პირობებში. მაგრამ არც ზემოაღნიშნული დღესასწაულის წინ და არც შემდეგ მე ამგვარი რამ ჩემს დღეში არ მინახავს. არ ვიცი, რომელი დიდი არტისტი, ან პირველხარისხოვანი ორატორი, თვით ისეთი, რომელსაც ეუცხოება ჩვენი მსოფლმხედველობა, გოლის სიღრმემდე არ აღელდებოდა იმ არაჩვეულებრივი სანახაობით, რასაც წარმოადგენდა ლენინი იმ სამახსოვრო დღეს პირადად ჩემთვის და, ალბათ, ყველა იქ მყოფთათვის. ლენინი აქ მოჩანს როგორც ჩანასახი, როგორც მომავალი დიდი კომუნარი, რომელიც გრძნობდა თავის ძალას და თავის დანიშნულებას, რომ განეგრძო პარიზის კომუნა, შური ეძია კომუნარებისათვის, რომელნიც „ზეცას ანგრევდნენ“, მიენიჭებინა პროლეტარიატისათვის კაპიტალზე გამარჯვება. როგორი სიყვარულით იხსენებს იგი ყველა თავის ნაწერებში პარიზის კომუნას, მიუხედავად მისი ნაკლისა და შეცდომებისა. იგი შეკავშირებული იყო მასთან სულიერად წმინდა ნათესაური კავშირით და ამას იგრძნობდით დიდი ხნით ადრე მანამდე, სანამ იგი კომუნის ანდერძს განახორციელებდა.

მე ვგრძნობ, რომ მეტად ფერმკრთალი სურათი დავხატე ჩემ მიერ ნახულისა, ჩემი ძალა მეტად სუსტია იმისათვის, რომ დავხატო ლენინის სიდიადე, რომელიც გამოჩნდა პარიზის კომუნის წლისთავზე.

მ. ტოროშელიძე.

1924 წ.

... ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲝᲑᲓᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲐᲖᲔ

ᲐᲮᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა გამოუშვა „1871 წლის პარიზის კომუნის ოქმები“ ორ ტომად. ეს არის პირველი სრული პუბლიკაცია ისტორიისათვის საინტერესო დოკუმენტებისა (28 მარტიდან 21 მაისამდე) რუსულ ენაზე. გამოცემა განახორციელა სარედაქციო კოლეგიამ აკადემიკოს ვ. პ. ვოლგინის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორების ე. ა. უელუბოვსკაიას და ა. ი. მოლოკის შემადგენლობით.

პუბლიკაციას, რომელშიც გამოყენებულია საოქმო ჩანაწერების ყველა არსებული ვარიანტი, რედაქტორებმა საფუძვლად დაუდეს ხელნაწერი მასალების შესწავლა პარიზის ისტორიულ ბიბლიოთეკაში დაცული ფრანგული დედნების ფოტოპირების მიხედვით. ოქმებს დართული აქვს მოწოდებანი, განკარგულებანი, სამხედრო ცნობები, რომელთა ნაწილი პირველად იბეჭდება რუსულ ენაზე, აგრეთვე დაწვრილებითი მეცნიერული კომენტარები და კომუნის წევრთა მოკლე ბიოგრაფიები.

დოკუმენტები მოგვითხრობენ იმაზე, თუ როგორ ახორციელებდა მსოფლიოში პირველი მუშური ხელისუფლება ახალი ტიპის სახელმწიფოს მშენებლობას, ისინი ასახავენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მუშებისა და მოსამსახურეების შრომის დაცვა, მოსახლეობის ფართო ფენების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რევოლუციური გარდაქმნა განათლებისა და კულტურის დარგში. ოქმებში აღბეჭდილია კომუნარების შეიარაღებული ბრძოლა ვერსალელთა წინააღმდეგ. (საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

თიანეთის რაიონში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებათა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

ᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲐ ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის ძვირფასი, დიდმნიშვნელოვანი თარიღი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 90 წლისთავი.

თბილისსა და სოხუმში, ბათუმსა და სტალინირში, ქუთაისსა და რუსთავში, ყველგან რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში მშრომელები ეზადებიან შეხვდნენ ამ დღეს ახალ-ახალი წარმატებით შრომაში სამშობლოს სადიდებლად. ყველგან ეწყობა ლენინის საღამოები, შეხვედრები სკკპ ძველ წევრებთან, საქართველოს და რუსეთის რევოლუციური მოძრაობის veტერანებთან, იხსნება ილიჩისადმი მიძღვნილი გამოფენები.

ხალსმრავალი აუდიტორია შეიკრიბა მესამე ლენინურ საღამოზე, რომელიც 17 მარტს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა მოაწყო რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალთან, ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალთან და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქალაქო განყოფილებასთან ერთად.

ლენინის საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ა. გეგეშიძემ.

ლექცია თემაზე: „ლენინური კოოპერაციული გეგმა და კომუნისტური პარტიის ბრძოლა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის“ წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა **პ. ვ. კოვანოვმა.** მან დაწვრილებით ჩამოაყალიბა ლენინური კოოპერაციული გეგმის არსი და ძირითადი პრინციპები, ცხადყო მისი შემდგომი განვითარება სკკპ გადაწყვეტილებებში.

ლენინის კოოპერაციული გეგმა სსრ კავშირში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენების ლენინური გეგმის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ხელმძღვანელობდა რა ლენინური კოოპერაციული გეგმით, კომუნისტურმა პარტიამ მოამზადა და მოაწყო მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობა, რომელსაც მოჰყვა საკოლმეურნეო წყობილების შექმნა, წარმოების ახალი, სოციალისტური წესის დამკვიდრება სოფლის მეურნეობაში. სოციალისტური სოფლის მეურნეობა წარმოიშვა და განმტკიცდა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრების, ტროცკისტებისა და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, ზრდისა და განვითარების სიძნელეთა დაძლევაში. ჩვენს ქვეყანაში მსხვილი სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნა კოოპერაციის შესახებ ლენინური იდეების მატერიალური განსახიერება, ლენინური კოოპერაციული გეგმის გა[illegible] მარჯვება იყო.

სსრ კავშირში სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების მრავალი წლის გამოცდილებამ პრაქტიკულად დაადასტურა ლენინის კოოპერაციული გეგმის დიადი სასიცოცხლო ძალა, სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების უპირატესობანი.

აბ. კოვანოვი შემდეგ ლაპარაკობს იმაზე, თუ რა უდიდესი მუშაობა გასწიეს და ახლაც ეწევიან კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. პარტიის XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებანი სოფლის მეურნეობის დარგში პარტიის ცენტრალური კომიტეტის კოლექტიური სიბრძნის განსახიერებაა. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან განუყრელი კავშირით მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარების მკაფიო ნიმუშია.

ლექციაში მოყვანილ იქნა მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ იმ უდიდეს წარმატებებს, რაც მიღწეულია ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, იმისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლაში, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. გაშუქებულ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა მიღწევები. კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რესპუბლიკის ყველა [illegible] ... ლენინური ... ლენინის ... ბრძოლა ... ლენინური ... ბრძოლა ... ...

○ ამ გვერდზე მოთხრობილია ოთხი საბჭოთა ახალგაზრდის უმაგალითო გმირობის ამგავი

○ მამაცობამ დაამარცხა ქარიშხალი, შიმშილი, წყურვილი

○ ამერიკელები აღებენ ფანჯრებს და მიესალმებიან... ○ გმირი საბჭოთა ახალგაზრდები დედასამშობლოს დაუბრუნდებიან

ოთხი ძლიერი

მ ი ნ ა !

ერთობლივი ინიციატივა

ძლივს! კიდევ რამდენიმე წუთი, და ჩვენ მაგრად ჩამოვართმევთ ხელს ოთხ მამაც საბჭოთა ადამიანს, მოსკოვში უკვე საღამო დადგა, ადგილობრივი დროით კი დილის ექვსი საათი იყო, როცა სან-ფრანცისკოს უბეში ავიამზიდი „კირსარჯი“ შემოვიდა.

გრიგალსა და ქარიშხალში, კავშირგაბმულობის, საჭმლის, სასმელი წყლის უქონლად შვიდი კვირის დრეიფის გმირებს დღეს ხვდებიან საბჭოთა საელჩოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისა და საზღვაო სამინისტროს წარმომადგენლები, ამერიკული პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მრავალი თანამშრომელი, საბჭოთა გაზეთების კორესპონდენტები.

აი ავიამზიდიდან აფრინდნენ ჰელიკოპტერები. ისინი წრეს აკეთებენ უბის თავზე და ნელა ეშვებიან სანაპიროს მინდორ მარინა გრინზე.

ერთი ჰელიკოპტერიდან გამოდიან ასხატ ზიგანშინი და ფილიპე პოპლავსკი, მეორიდან — ივანე ფედოტოვი და ანატოლი კრიუჩკოვსკი. პირველი საბჭოთა ადამიანი, რომელიც მათ სამშობლოსთან დიდი ხნის განშორების შემდეგ დაინახეს, — ჩვენი საელჩოს წარმომადგენელი ეხვევა და ჰკოცნის მათ, ულოცავს მშვიდობით მოსვლას.

ახალგაზრდა საბჭოთა მეომრებმა ორ თვეს ოკეანეში ხტიალის შემდეგ პირველად დაგეს ფეხი მაგარ მიწაზე. მათი უსაზღვროდ მახლობელი სახეები სიხარულსა და გასაგებ მღელვარებას გამოხატავს.

ოთხი მამაცი ახალგაზრდა, რომლებმაც ოკეანეს სძლიეს, გულთბილად ემშვიდობება ავიამზიდის მეთაურის წარმომადგენელს და ჰელიკოპტერების პილოტებს. გულითად მადლობას უძღვნიან მათ დახმარების აღმოჩენისათვის, ხომალდზე ყურადღებით მოპყრობისათვის. ამერიკელები თავიანთ ახალ მეგობრებს სამშობლოში ბედნიერად დაბრუნებას უსურვებენ.

რამდენიმე დღეა ამერიკული პრესა და რადიო დაწვრილებით იუწყებოდნენ ავიამზიდ „კირსარჯის“ მოძრაობის შესახებ. დღეს, როცა ხომალდი სან-ფრანცისკოს უახლოდებოდა, იუნაიტედ პრესის საგენტომ ვარაუდით განაცხადა, რომ ოთხი საბჭოთა მეომარი რამდენიმე დღეს დაჰყოფს სან-ფრანცისკოში, იქიდან გაფრინდება ნიუ-იორკში, შემდეგ კი სამშობლოში.

ხომალდი ჯერ კიდევ 480 კილომეტრზე იყო სან-ფრანცისკოდან, როცა მასზე უკვე გადასხდა ამერიკული პრესისა და რადიოს კორესპონდენტთა „დესანტი“.

ავიამზიდიდან გადმოგვცემდნენ: „რუსები გვიამბობდნენ, რომ მათი სულიერი მდგომარეობა მტკიცე იყო. მათ ჰქონდათ გაზეთიდან ამოჭრილი რუკა. კარჭაპზე საწვავი ცურვის პირველ დღესვე გათავდა. მეთექვსმეტე დღეს გაუთავდათ ხორცის კონსერვები. მეზღვაურები კარტოფელისაგან წვენს ხარშავდნენ. ეს სურსათიც გაუთავდათ. მათი გადარჩენის მომენტისათვის — 6 მარტს ისინი უკვე თავიანთი ფეხსაცმელების ტყავს ხარშავდნენ. მძიმე და მტანჯველი განსაცდელის განმავლობაში, რომელიც 49 დღეს გრძელდებოდა, პატარა გემმა დრეიფით გაიარა 1.600 კილომეტრი. ამ ადამიანებმა ახალი თავი ჩაწერეს ზღვის სტიქიასთან ადამიანის ბრძოლის ხანგრძლივ ისტორიაში“.

დრეიფის გმირებმა ხომალდ „კირსარჯის“ მეთაურს კომანდორ ლ. რ. ტაუნსენდს გადასცეს წერილი, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენ, საბჭოთა მეზღვაურები, რომლებიც გაჭირვებას განვიცდიდით ღია ზღვაში, გულითად მადლობას ვუძღვნით ოფიცრებსა და მთელ ეკიპაჟს, რომელმაც გვიხსნა ჩვენ და ესოდენ კარგი პირობები შეგვიქმნა ამერიკის ხომალდზე“.

ოთხი საბჭოთა ადამიანის სიმტკიცე და მამაცობა ამერიკელთა აღტაცებას იწვევს. ამერიკული საგენტოების კორესპონდენტები იუწყებოდნენ: ა. რ. ზიგანშინი, ფ. გ. პოპლავსკი, ა. ფ. კრიუჩკოვსკი და ი. ე. ფედოტოვი თავს კარგად გრძნობენ. უკვე კვირას ავიამზიდის ლაზარეთიდან გადაყვანილ იქნენ ორ კიუტაში. რუსები კინოფილმს უყურებენ და ჭადრაკსა და შაშს თამაშობენო.

დიახ, ისინი თავს კარგად გრძნობენ, ამაში ჩვენ დავრწმუნდით დღეს, სასიხარულო შეხვედრის პირველ წუთსვე. ოთხი მამაცი ახალგაზრდა საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელთან ერთად ავტომობილებში სხდება, ისინი მიდიან ოტელ „კარავან ლოჯში“.

ჩვენი ფიქრები კი უბრუნდება იმას, რის გადატანაც ამ ადამიანებს მოუხდათ.

ნახეთ, მკთხეველებო, წყნარი ოკეანის რუკა. როგორია მისი ფართობი? ნუ დაგეზარებათ, გადაფურცლეთ სახელმძღვანელო: 179.679 ათასი კვადრატული კილომეტრი. ახლა სიღრმე? საშუალო — ოთხი ათასი მეტრი, მაქსიმალური — 11,5 ათასი. ახლა წარმოიდგინეთ ოთხი კაცი პატარა კარჭაპზე ზამთრის ცივ ოკეანესთან ბრძოლაში. საეჭვოა აქ გამოდგეს შედარებანი, თუნდაც ნემსთან თივის ზვინში. კარჭაპი, რომელმაც მართვა დაკარგა, ქარიშხალმა სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაიტაცა. რამდენიც უნდა იცქირო გარშემო — უსაზღვროა; უახლოეს კუნძულამდე შვიდასი მილი მაინც იქნება. ზიგანშინმა იცოდა ეს რუკის მიხედვით, რომელიც მეხსიერებაში აღებეჭდებოდა ყოველთვის, როგორც კი უძილობისგან მოქანცულ, ქარითა და შხეფების მარილით, ოკეანის მრისხანე აბოპარებით ანთებულ თვალებს დახუჭავდა.

— ხომალდების მარცხის მსხვერპლნო, რომლებიც ნაღრეკად დაიღუპეთ! თქვენ მოგაკლა არა ოკეანემ, არა შიმშილმა, წყურვილმაც კი არა! თოლიების სეედიან წვიმილში ტალღებზე რომ ირწეოდით, თქვენ შიშისაგან მოკვდით. — ამ სტრიქონების ავტორს ფრანგ ექიმ ალენ ბომბარს ყველა საფუძველი ჰქონდა ასე ეთქვა. რვა წლის წინათ რეზინის ნავით, რომელსაც კადნიერად უწოდა „ერეტიკოსი“, მან მარტომ დადასტურა ატლანტიკა აფრიკის სანაპიროდან ცენტრალური ამერიკის კუნძულებამდე. ბომბარმა შეგნებულად ვასწია რისკი, რომ ოკეანის მომავალ მსხვერპლთა გადასარჩენად დაემტკიცებინა, რომ ოკეანეს შეუძლია მისცეს მათ სასმელ-საჭმელიც და ტანსაცმელიც. და მან დაამტკიცა ეს. მართალია, ცხელ ტროპიკულ სარტყელში... ახლა ნორვეგიელი მეცნიერი ტურ ჰეიერდალი? თავის ხუთ მეგობართან ერთად მან ტივით „კონ-ტიკით“ ეკვატორის ახლოს წყნარი ოკეანე გადასერა და ცხადყო, რომ ტალღებსა და ქარს შეუძლიათ ემსახურონ და უნდა ემსახურონ ადამიანს, მიიყვანონ იგი დასახლებულ ხმელეთთან.

ბომბარისა და ჰეიერდალის გმირობა უეჭველია. მაგრამ როგორ უნდა მოიქცნენ ისინი, ვინც ოკეანემ ხმელეთს მოსწყვიტა შემთხვევით, ვისაც ტროპიკების ლაქვარდოვანი ცა კი არ დაჰყურებს, არამედ დაბლა ჩამოწოლილი ტყვიისფერი ღრუბლები?

ჩვენ ვესაუბრებით უბრალო მამაც საბჭოთა ადამიანებს, რომლებმაც დაძლიეს ქარიშხალი, შიმშილი, წყურვილი, ეუამბობთ, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა მოელის მათს დაბრუნებას. ისინი მადლობას გამოთქვამენ და გვთხოვენ გადაცეთ სამშობლოს უმხურვალესი, უგულითადესი სალამი.

ყველაზე ძნელ დღეებშიც კი ისინი გულით სამშობლოსთან ერთად იყვნენ. 23 თებერვალს მათ აღნიშნეს საბჭოთა არმიის დღე, უკანასკნელი ბოლქვი კარტოფილისგან სადილი მოხარშეს.

ძნელი დღეები! რამდენი იყო ისინი. ოკეანე მთელ თავის ბოროტ სიმძლეურეს ძაბავდა, რომ დაემსხვრია ნაკუწა კარჭაპი, რომელიც ჭრიგალს სულ უფრო და უფრო შორს მიჰქონდა ამბოჭრებულ სივრცეში.

ზოგჯერ ქარი, თითქოს ამ შეტაკებით მოიქანცაო, ჩადგებოდა ხოლმე, მაგრამ ხანმოკლე შესვენების შემდეგ ახალ ძალას იკრებდა და კვლავ მძვინვარებდა, მისი სიჩქარე საათში სამოც, ას, ას ოც კილომეტრამდე მატულობდა, და კვლავ მძვინვარებდნენ თეთრად აქაფებული ტალღები, თოჯინასავით ათამაშებდნენ პატარა გემს. ასე იყო ყოველდღე, ყოველ ღამე, კვირიდან კვირამდე. ოთხი გული კი ერთად ძგერდა, ოთხი ნებისყოფა ერთ ნებისყოფად გაერთიანდა, და გრანიტზე უფრო მტკიცე მამაცობაზე იმსჯელეოდა გრიგალი, დაღუბვით რომ იმუქრებოდა. მეხუთე იყო მსუბუქი კარჭაპი, რომელიც აქაფებულ ოკეანეში მიიკარგა, მაგრამ მტკიცედ უძლებდა ოთხსართულიანი სახლის სიმაღლე ტალღების საშინელ დარტყმას. და კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ამ ადამიანებმა გაუზიარეს მას თავიანთი რკინისებური სიმტკიცე, თავიანთი შეუდრეკელი სიმამაცე.

ისინი სულ ოთხნი იყვნენ: ორნი უკრაინიდან, ერთი შორეულაღმოსავლეთელი და ერთიც ვოლგის გაღმა მხარის მკვიდრი. მაგრამ ისინი შეადგენდნენ ამხანაგობის მაღალი გრძნობით, იმ მტკიცე მეგობრობით შედუღაბებულ საბჭოთა ადამიანების კოლექტივს, რომელიც თვითეულის ძალას ათკეცებს. უბედურება უეცრად დაატყდათ თავს, მაგრამ ამ ოთხეულადან არც ერთს არ დაუკარგავს სულის სიმტკიცე ამ ტრაგიკული დრეიფის არც პირველ საათს და არც ორმოცდამეცხრე დღეს.

საზღვაო კატასტროფათა და უბედურებათა აწერაში შეხვდებით მრავალ ფაქტს, როცა ადამიანები, თუნდაც არა ამდენად ძმის მდგომარეობაში, რომ აღმოჩნდებოდნენ, კარგავდნენ ადამიანობას, მხეცები ხდებოდნენ, შიში და უზომო ეგოიზმი ბოროტმქმედებისათვის აძლევდათ მათ ბიძგს. ოთხი საბჭოთა მოქალაქე, ოკეანესთან ბრძოლაში რომ ჩაება, ჩვენი სამშობლოს კანონს ასრულებდა. სულ უფრო ძლიერდებოდა საფრთხე, და ისინი, როგორც მამაცებს შეეფერის, თვალს უსწორებდნენ მას. სულ უფრო მჭიდრო მწყობრად, მხარდამხარ იდგნენ, ისე რომ თვითეულს ესმოდა მეგობრის გულისცემა.

შემოწმება გაიარა ყველაფერმა, რაც შეითვისეს, რაც ისწავლეს მათ ოჯახსა და სკოლაში, ამხანაგებთან შრომასა და საბჭოთა არმიის რიგებში. იყო თუ არა შიში? ალბათ იყო. მაგრამ შიში დაძლია კოლექტივიზმისა და ურთიერთდახმარების გრძნობებმა, დისციპლინამ და სიმტკიცემ, ფიცის ერთგულებამ და მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმმა, რომელსაც ადამიანი გმირობის მწვერვალზე აკაყავს. ზიგანშინის, კრიუჩკოვსკის, პოპლავსკისა და ფედოტოვის მთელი ფიქრები, მას შემდეგ, რაც ისინი ავიამზიდ „კირსარჯზე“ ავიდნენ, მიპყრობილი იყო სამშობლოსადმი. გვინდა რაც შეიძლება მალე დავბრუნდეთ შინ — აი პირველი სიტყვები, რომლებიც მათ მაშინ წარმოთქვეს.

დღეს კი ჩვენ ხარბად ვისმენთ ჩვენი ძვირფასი ამხანაგების ნაამბობს უმაგალითო დრეიფის შესახებ, რომელიც 17 იანვარს დაიწყო და 6 მარტს დამთავრდა, ეცდილობთ ოდნავი დეტალიც არ გამოგვრჩეს. ეს არის წარმტაცი თხრობა უმაგალითო გამბედაობასა და მამაცობაზე.

ოთხი საბჭოთა ჯარისკაცი, რომლებიც გუშინ ამერიკის ავიამზიდიდან სან-ფრანცისკოს მიწაზე ჩამოვიდნენ, ამერიკის საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. გაზეთები, რადიო, ტელევიზია თავიანთ ფურცლებსა და გადაცემებს იწყებენ ცნობებით ოთხი საოცარი რუსი ახალგაზრდის შესახებ, რომლებიც აღელვებულ წყნარ ოკეანეში თვენახევარზე მეტი ხნის ცურვის მკაცრმა განსაცდელმა, შიმშილმა, სიცივემ ვერ გატეხა. დღეს ამერიკის გაზეთები ბეჭდავენ დაწვრილებით ცნობებს მთელი ამ არაჩვეულებრივი დრეიფის შესახებ და ათავსებენ გმირთა ფოტოსურათებს. ამერიკელი ექიმები, რომლებიც ჯარისკაცებს ავიამზიდზე სინჯავდნენ, იუწყებიან გაზეთები, გაოცებული იყვნენ მათი არა მარტო ფიზიკური წრთობით, რომელმაც შესაძლებლობა მისცა მათ გადაეტანათ სასტიკი განსაცდელი, არამედ მათი უდიდესი სასიცოცხლო ძალითაც, შეუდრეკელი ნებისყოფით.

ფრიად დამახასიათებელია რიგითი ამერიკელების დამოკიდებულება ჩვენი ჯარისკაცებისადმი. იმ ავიამზიდის ეზარეული, რომელთაც ისინი სან-ფრანცისკოში მოვიდნენ, ეროვნებით მალაელი, მათ რუსულ ბორშს უმზადებდა, ხოლო პირველი კლასის ზემდეგი ვლადიმერ გეტმანი, უკრაინული წარმოშობის ამერიკელი, რუს ახალგაზრდებს უმასპინძლდებოდა უკრაინული ვარენიკებით, რომლებიც მან ამ შემთხვევის გამო თვითონ მოამზადა. იმ მინდვრის პირას მდგომი სახლების მცხოვრებნი, სადაც გუშინ დაეშვნენ ჰელიკოპტერები, რომლებმაც რუსი ჯარისკაცები ავიამზიდ „კირსარჯიდან“ გადმოიყვანეს, მიუხედავად იმისა, რომ დილის ადრე საათი იყო, ფანჯრებს აღებდნენ და თვალს ადევნებდნენ მათს მოსვლას. დღეს ჰოლივუდის ერთ-ერთი კინოსტუდიიდან საბჭოთა ჯარისკაცები მიიწვიეს ინახულონ ჰოლივუდი და მონაწილეობა მიიღონ სატელევიზიო პროგრამაში.

სან-ფრანცისკოს ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტმა, რომელსაც მე ვესაუბრებოდი, როცა ავიამზიდიდან საბჭოთა ჯარისკაცების მოსვლას ველოდებოდი, მითხრა: „ამის გაკეთება მხოლოდ რუსებს შეუძლიათ!“.

ხვალ საბჭოთა ჯარისკაცები მიდიან ნიუ-იორკში, საიდანაც ხანმოკლე შეჩერების შემდეგ, სამშობლოში გამოფრინდებიან.

ი. ბარსუკოვი.

სან-ფრანცისკო, 16 მარტი.



ეს აივაზოვსკის ნახატი კი არ არის, დოკუმენტური ფოტოსურათია. წყნარ ოკეანეში ასეთმა ბობოქარმა ცხრაბალიანმა ღელვამ კუნძულს მოსწყვიტა კარჭაპი, რომელშიც იმყოფებოდა ოთხი საბჭოთა ადამიანი და გაიტაცა მშობლიური ნაპირებიდან 1.600 კილომეტრზე.

○ ამ გვერდზე მოთხრობილია ოთხი საბჭოთა ახალგაზრდის უმაგალითო გმირობის ამგავი

○ მამაცობამ დაამარცხა ქარიშხალი, შიმშილი, წყურვილი

○ ამერიკელები აღებენ ფანჯრებს და მიესალმებიან... ○ გმირი საბჭოთა ახალგაზრდები დედასამშობლოს დაუბრუნდებიან

ბოგოქარი ოკეანის ტალღებთან ბრძოლაში გამარჯვებული ოთხი საბჭოთა ახალგაზრდის გმირობამ აალაპარაკა მთელი მსოფლიო. გამჭრელობა, ვაჟკაცობა, გამბედოობა, მოთმენობის გრძნობა — აი რა ამხნევებდათ და ამოქმედებდათ ამ გოლიათებს.

დღეს ჩვენ გბეჭდავთ გაზეთ „იზვესტიის“ სპეციალური კორესპონდენტების ნ. კოშელოვის, ს. ზიკოვის, ი. ბარსუკოვის და სხვათა წერილებს, რომლებიც მოუთხრობენ ამ ნამდვილად გასაოცარი ეპოპეის ცალკეულ ეპიზოდებზე, საბჭოთა კავშირისა და ამერიკის მეზღვაურთა მეგობრობაზე, იმ დიდ ალფრთოვანებაზე, რომელსაც თანამემამულეთა გმირობით განიცდიან საბჭოთა ადამიანები.

მ ტ კ ი ც ე ხ ა ს ი ა თ ი

სოფელ შანტალში, ვოლგის გაღმა მხარის რაიონულ ცენტრში, დღეს კულტურის სახლში შეიკრიბნენ კოლმეურნეობების თავჯდომარეები და ბრიგადირები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, სარემონტო-ტექნიკური სადგურების ხელმძღვანელები, სპეციალისტები. საკითხი ერთია: გაზაფხულის შეხვედრა. კამათობენ, აზრებს უზიარებენ ერთმანეთს, ლაპარაკობენ თესლზე, საწვავზე, სათადარიგო ნაწილებზე. მაგრამ შესვენებისათვის გავლენ თუ არა, სულ სხვა ლაპარაკი იწყება:

— მაგარი ვაჟკაცი აღმოჩნდა ჩვენი თანასოფლელი! ასეთმა უბედურებამ ვერ მოდრიკა!

ასხატს ბევრი მეგობარი და ნაცნობი ჰყავს შანტალში, დენისკინოში და სხვა სოფლებში. იგი აქ იზრდებოდა, სწავლობდა, ვაჟკაცდებოდა. მუშაობდა XX პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის, ჩაპაევის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში, ხოლო უკანასკნელ ხანს გაწვევის წინ — რაიონულ ცენტრს შანტალს 12 კილომეტრით დაშორებულ სოფელ დენისკინოს კოლმეურნეობა „მარსში“. 1958 წლის აგვისტოში საბჭოთა არმიის რიგებში წავიდა.

შვილს არმიაში რომ აცილებდა, მოხუცი რახიმზიანი არიგებდა მას:

— იმსახურე პატიოსნად და ერთგულად!

ყოველ წერილში შვილი ატყობინებდა მშობლებს, რომ არმიაში სამსახური ჩინებულად მიდის. უკანასკნელი წერილი მიმდინარე წლის 9 იანვრით იყო დათარიღებული.

უკანასკნელი წერილი. მეტი აღარ მოუწერია ასხატს. რა დაემართა? ამბობენ, იმ მხარეებში, სადაც ასხატი მსახურობს, ოკეანეზე ქარიშხალი იყოო. რაიმე უბედურება ხომ არ შეემთხვა?

შეშფოთებული იყო მამა, შეუშჩნევლად იწმენდდა ცრემლს დედა, მოხუცი ხატინა, მოღუშული იყო ძმა.

და როგორ გაახარა ყველა ცნობამ ოთხი მამაცი საბჭოთა მეომრის გადარჩენის შესახებ!

შანტალში, კანაშის ქუჩაზე მდებარე № 30 სახლში მიდიან ადამიანები, რომ მიულოცონ ზიგანშინის ოჯახს. აი მოვიდა ასხატის მეგობარი კრასნოვი, რომელმაც უკვე დაასრულა სამსახური არმიაში. მოვიდა უოლოვი, ტრაქტორისტი, რომელიც ასხატთან ერთად სწავლობდა მექანიზაციის სკოლაში. აი ფოსტალიონმა მოიტანა დეპეშა:

„კუიბიშევის ოლქი, სადგური შანტალი, კანაშის ქუჩა, 30, რახიმზიან ზიგანშინს. სიხარულით შევიტყეთ, რომ თქვენი შვილი გადარჩენილია. ნაწილის მეთაური მაუენშტეინი“.

— რაში ადამიანი შეაშფოთა ჩვენი შვილისა და მისი ამხანაგების ბედმა, — აღელვებული ლაპარაკობს რახიმზიან ზიგანშინი. — ქუჩაში რომ მივდიეარ, თავს მიკრავენ ნაცნობები და უცნობები, მილოცავენ, ხელს მართმევენ. მადლობას მოგახსენებთ, მეგობრებო! მადლობა სამშობლოსა და პარტიას, ჩემი ასხატი პატიოსან და მამაც ადამიანად რომ აღზარდეს. მინდა მამობრივად გადავეხვიო ავრეთვე ამერიკელ მფრინავებს, მეზღვაურებს, ექიმებს — ყველას, ვინც დახმარების მეგობრული ხელი გაუწოდა ჩემს შვილს და მის მეგობრებს. გადაეცით მათ ჩემი გულითადი მადლობა და უთხარით: აი სწორედ ასე ადამიანურად უნდა მეგობრობა!

ნ. კოშელევი.

კუიბიშევის ოლქის სოფელი შანტალი, 15 მარტი.

მ ა თ ი ნ ა ა მ გ ო ბ ე ბ ი

49 დღის შესახებ

ეს ჩაიწერა ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა მამაცთა ოთხეულის ნაამბობიდან მას შემდეგ, რაც ისინი სან-ფრანცისკოში ჩავიდნენ.

ეს 17 იანვარს დაიწყო. ქროდა ძლიერი ქარები, რომლებიც ძალიან საშიშია ამ ადგილებში. ეკიპაჟი ყოველი ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ უკავშირდებოდა ნაპირს. გრიგალმა გაწყვიტა ფოლადის გვარლი, და კარჭაპი ნაპირისაკენ გაექანა. გამოცხადდა განგაში! ეკიპაჟმა ნაპირს აცნობა, რომ გასაჭირში იყო. ჩავრთეთ ძრავები და ვცდილობდით გავსულიყავით ყურეში, რომ იქ ღუზა ჩაგვეშვა. ამ მანევრს ხელი შეუშალა ქარმა და ცუდმა ხილვადობამ, მოტორები გამოვრთეთ. კარჭაპი დრეიფზე გადავიდა. დრეიფი 45-50 წუთს გრძელდებოდა, და კარჭაპი წყალმა კვლავ ყაიღო ნაპირისაკენ. ნაპირზე გამოგდების საფრთხე თავიდან რომ აგვეცილებინა, კვლავ ჩავრთეთ მოტორები და შევეცადეთ დავშორებოდით ნაპირს. რამდენჯერმე გამეორდა ასე.

ქარის მიმართულება უეცრად მკვეთრად შეიცვალა, და კარჭაპი წყალმა ღია ოკეანისაკენ წაიღო.

ეკიპაჟმა უკანასკნელად გადასცა ცნობა, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მოტორები ჩაჩუმდა. ძლიერმა ტალღამ გაიტაცა ქვანახშირის ყუთი, ძრავის ზეთით სავსე კასრი. ეს უკვე 17 იანვარს ღამით იყო.

მეორე დილას განვაგრძეთ ცდები გადაგვერჩინა კარჭაპი, რომლის ტრიუმშიც ბევრი წყალი ჩავიდა.

სანოვაგიდან კარჭაპზე გვქონდა ერთი ვედრო კარტოფილი, კილოგრამნახევარი ღორის ქონი, ქილანახევარი ღორის ხორცის კონსერვი და ერთი პური. სასმელი წყალი სპეციალური ავზით. ვცადეთ ამოგვექაჩა წყალი ტრიუმიდან. გასათბობად ვწვებოდით მოტორების ცხელ კაპოტებზე. ღუზელის დასანთებად ვამტვრევდით ყუთებს, ვჭრიდით ავტომობილის საბურავებს, რომლებიც კარჭაპზე იყო. დავკარგეთ ყოველგვარი წარმოდგენა იმაზე, თუ საით მივქონდით წყალს.

გავიდა ერთი კვირა, მეორე. დროის გასაყვანად ვკითხულობდით წიგნებს, რომლებიც შემთხვევით აღმოაჩნდა ივანე ფედოტოვს. პოპლავსკი ძველ პატარა გარმონს უკრავდა...

სასმელი წყალი გამოგველია. ვაგროვებდით წვიმის წყალს. ხშირად ვიგონებდით მახლობლებს, თანამოსამსახურე ამხანაგებს, არ ვკარგავდით რწმენას, რომ ადრე თუ გვიან გადაგვარჩენდნენ. ოღონდ კი გაგვეძლო! პირველ დღეებში სადილს ვამზადებდით დღეში ერთხელ, შემდეგ დღეგამოშვებით. 27 იანვარს კრიუჩკოვსკის დაბადების დღე იყო, მას 21 წელი შეუსრულდა. მთელმა ეკიპაჟმა ეს თარიღი „კარგი“ სადილით აღვნიშნეთ.

გადიოდა თებერვალი. პროდუქტები გაგვითავდა. ვჭრიდით ჩექმებს, ტყავს წყალში ვხარშავდით, შემდეგ შევწვავდით ხოლმე და ვჭამდით. ძალღონე რომ შეგვენარჩუნებინა, კუბრიკში ვწვებოდით და ვცდილობდით რაც შეიძლება ცოტა გვემოძრავა. 2 მარტს დღისით პირველად შეგამჩნიეთ ხომალდი, რომელიც შორ მანძილზე მიდიოდა. ჩვენი სიგნალები შეუმჩნეველი დარჩა. ხომალდი თვალს მიეფარა.

6 მარტს ასხატ ზიგანშინს ღამე გამოეღვიძა და ოკეანეში სინათლეები შეამჩნია. მან დაიწყო გაჭირვების სიგნალების მიცემა. მაგრამ ამ ხომალდმაც ისე ჩაიარა, რომ ვერ შეგვნიშნა.

7 მარტს დღის ორ საათზე კვლავ შევნიშნეთ ხომალდი, მაგრამ ძლიერი ქარიშხლის გამო მან კარჭაპი ვერ შეამჩნია.

7 მარტს დღის 4 საათზე მოგვესმა მოახლოებული მოტორების ხმაური. კარჭაპს ზედიზედ გადაუარა რამდენიმე თვითმფრინავმა. მათ შეამჩნიეს სიგნალები, ერთ-ერთმა თვითმფრინავმა კარჭაპის თავზე დაიწყო ტრიალი.

მალე გამოჩნდნენ ჰელიკოპტერები. მათ ყულფებიანი ფოლადის გვარლები ჩამოუშვეს. მოგვიახლოვდა ხომალდი, გემბანიდან რუპორით გვიყვიროდნენ დამტვრეულ რუსულ ენაზე: „თქვენს დასახმარებლად მოვედით“. ამის შემდეგ ჰელიკოპტერმა კარჭაპის ეკიპაჟი ხომალდზე გადაიყვანა. ხომალდი აღმოჩნდა ამერიკის ავიამზიდი, რომელიც იაპონიიდან სან-ფრანცისკოში მიდიოდა.

აი ასე მოხდა ყველაფერი.

„იზვესტია“, 16/III.

ალენ ბომბარი: გასაოცარი ეპოპეა

თუ გინდათ იცოდეთ, ვინ არის ალენ ბომბარი და არ აძლევს მას უფლებას ასე შეაფასოს ოთხი საბჭოთა ადამიანის 59-დღიანი გმირული დრეიფი, წაიკითხეთ მისი წიგნი „ღია ზღვაში საკუთარი ნებით“. 1952 წელს მან, ახალგაზრდა ფრანგმა ექიმმა, რეზინის გასაბერი ნავით გადასცურა ატლანტიკა, ამასთან საზრდოობდა მხოლოდ იმით, რის მოცემაც მისთვის ოკეანეს შეეძლო. ამჟამად დოქტორი ალენ ბომბარი ცნობილია საფრანგეთში და მთელ მსოფლიოში იმ ადამიანთა მიერ სიცოცხლის შენარჩუნების შესაძლებლობათა კვლევით, რომლებიც ხომალდის დაღუპვის შემდეგ ზღვაში დარჩნენ.

დღეს ჩვენ ტელეფონით დავუკავშირდით ქალაქ ამიენს, სადაც დოქტორი ბომბარი ცხოვრობს. მან გაზეთებისა და რადიოს ცნობებით უკვე იცოდა ამ ბავი ოთხი საბჭოთა ადამიანის არაჩვეულებრივი და სრულიადაც არა ნებაყოფლობითი „მოგზაურობისა“, რომელიც წყნარ ოკეანეში 49 დღეს გრძელდებოდა.

— ეს ნამდვილად გასაოცარი ეპოპეაა. იგი ძალიან მაინტერესებს, — აღელვებით თქვა დოქტორმა ბომბარმა. — სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მიღებული არ არის ამ ისტორიის დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც შესაძლებლობას მოგვცემენ გარკვეული დასკვნა გავაკეთოთ. მაგრამ უკვე ახლა ცხადია მისი საგულისხმო მნიშვნელობა, ოთხმა საბჭოთა ადამიანმა, რომლებმაც შეძლეს ასე დიდხანს და ასეთ ძნელ პირობებში ებრძოლათ ბუნების ძალების წინააღმდეგ, თავისი მამაცობით შთამაგონებელი მაგალითი უჩვენა ყველა მეზღვაურს, ყველას, ვისაც ოკეანის სტიქიასთან ორთაბრძოლაში ჩაბმა უხდება.

ს. ზიკოვი.

პარიზი, 15 მარტი.



კარჭაპით ოთხი საბჭოთა ადამიანის დრეიფის რუკა ავიამზიდ „კირსარჯის“ მარშრუტის სქემით და 1960 წლის 16-20 და 21-23 იანვრის ციკლონების ტრაექტორიებით. შედგენილია სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მთავარი შტურმანის ლ. ა. კუშჩინს, პროგნოზებს ცენტრალური ინსტიტუტის მსოფლიოს ამინდის რუკების განყოფილების ხელმძღვანელის ვ. რ. დუგენცოვისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლის ვ. ა. ბურკოვის მასალებისა და გაანგარიშების მიხედვით.

გმირების ოჯახში

ჩემეროვცი, (ხმელნიცკის ოლქი), 17 მარტი. (საკადესი). უკვე რამდენიმე დღეა არ იკეტება იმ სახლის კარები დილიდან საღამომდე, რომელშიც ცხოვრობს ოთხი საბჭოთა გმირი მებრძოლიდან ერთერთის — ფილიპე გრიგოლის-ძე პოპლავსკის დედა. ფ. პოპლავსკის გმირობა ჩაიდინა მის ამხანაგებთან ერთად სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სასიხარულო ცნობა მოვიდა 62 წლის ალექსანდრა იულონის ასულს სახლში. კარგად, რიგიანად აღზარდა მან შვილი და მეზობლებს სიამაყით უამბობს მის შესახებ. ფილიპე ამ შრომისმოყვარე და ერთსულოვანი ოჯახის უმცროსი შვილია. იგი როგორც ცოცხალი ბავშვი ახალგაზრდობის სული და გული იყო სკოლაში და სამშენებლო ბრიგადაში, სადაც მუშაობა დაიწყო შვიდწლედის დამთავრების შემდეგ. დაუცხრომელი ახალგაზრდა ასწრებდა ყველგან — წარჩინებით მუშაობდა და ეხმარებოდა დედას მეურნეობაში, გამოდიოდა ხმატკბილ თვითმოქმედების კონცერტებში და ეწეოდა სპორტს. იგი ბავშვობიდანვე ოცნებობდა გამბედარიყო მეზღვაური, და როცა ჯარისკაცის ფორმა ჩაიცვა თავისი ოცნების ერთგული დარჩა.

— ჩვენ ყოველთვის გვწამდა ფილიპესი, — ამბობს ალექსანდრა იულონის ასული, — გვწამდა და ვიცოდით, რომ მასში არ მოგტყუვდებით.

— ფილიპემ გააკეთა ის, რასაც გააკეთებდა ყოველი საბჭოთა ადამიანი, — არ შეუშინდა სიძნელეებს, — ამბობს დედა.

— ამერიკელ მეზღვაურებს კი, რომლებმაც გადაარჩინეს ჩვენი ჯარისკაცები, სულით და გულით ვუძღვნით მადლობას. დიე ასე იყოს მუდამ; დახმარება და მეგობრობა უმჯობესია.

სან-ფრანცისკო ხვდება ზღვაში გადარჩენილ ოთხეულს

ნიუ-იორკი, 16 მარტი. (საკადესი). ამ დღეებში ამერიკის პრესა ფართოდ აქვეყნებს მასალებს ზღვის სტიქიასთან ოთხი საბჭოთა ადამიანის გმირული ბრძოლის შესახებ. დღეს გაზეთები აქვეყნებენ სან-ფრანცისკოში მამაცი საბჭოთა ჯარისკაცების შეხვედრის ცნობებს.

ამერიკის პრესა სან-ფრანცისკოში მამაცი საბჭოთა ადამიანების შეხვედრის შესახებ

გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ პირველ გვერდზე ბეჭდავს თავისი კორესპონდენტის ლ. დევისის სან-ფრანცისკოდან მიღებულ ცნობას სათაურით: „სან-ფრანცისკო ხვდება ზღვაში გადარჩენილ ოთხ რუსს“.

„როცა 15 მარტს დილაადრიან ავიამზიდი „კირსარჯი“

წარსულის ქარტეხილები

შირვანზადეს „ავი სული“ თბილისის სომხურ თეატრში

„ავი სული“ ალექსანდრე შირვანზადეს მადლიანი კალმით შეთხზული ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებშიც კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე მდგარი მწერალი მკაცრად ამხელს წარსულის ცრუმორწმუნეობრივ სიბნელეს, სოციალური უთანასწორობით მოწამლული ჭაობის სულისშემხუთველ ატმოსფეროს.

თბილისის სომხურ სახელმწიფო თეატრში ეს პიესა უკანასკნელად ათი წლის წინათ დაიდგა; ასეთი ინტერვალის შემდეგ სავსებით დროულია ძმდინარე სეზონში მისი ხელახლად წარმოდგენა.

პიესაში აღწერილი უბედურება რევოლუციამდელ სომხეთის პროვინციულ ქალაქში ხდება. ცენტრალური მოქმედი პირია ნალბანდ ოსკანის ქალიშვილი სონა. მუდმივ სიდუხჭირესთან ჭიდილში მოქანცული ოსკანი, რომლისთვისაც უცნობია უსამართლობის წინააღმდეგ შეგნებული ბრძოლის გზა, ამოვარდება ცხოვრების კალაპოტიდან, გალოთდება...

წვითა და დაგვით გაზრდილი კეთილი სონა ვაჭრების რძალი ხდება. ღარიბი ოჯახიდან მოყვანილ რძალს მეშჩანური ამპარტავნობით ხვდებიან მურადის ოჯახის წევრები, განსაკუთრებით კი უფროსი რძალი ჯავარა, აბუჩად იგდებენ. გამოუვალი სულიერი ტკივილებით გულდაკოდილ ქალს სული ეხუთება და მოულოდნელად ბნედა ემართება.

ეს ამბავი ყუმბარასავით გასკდება ცრუმორწმუნეობით დაბრმავებული ვაჭრების ოჯახში. დედამთილი, რძალი, ოჯახის უფროსი კარაპეტი ერთხმად სწყევლიან იმ დღეს, როცა ამ „ავმა სულმა“ მათ ოჯახში შემოდგა ფეხი, ქალს ათასგვარ უსიამოვნებას აყენებენ. იმათი და მოწვეული „ჯადოსნის“ დეკნით შეკიწროებულ სონას გული გაუსკდება და მოკვდება.

ასეთია პიესის შინაარსი.

თბილისის სახელმწიფო სომხური თეატრის კოლექტივმა ა. აბარიანის (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) რეჟისორობით სწორად გაიაზრა დრამის იდეური ჩანაფიქრი და ადამიანთა სულისა და გულის უდიდეს ძვრებზე აგებული სპექტაკლი შექმნა.

სპექტაკლი განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს აქტიორული შესრულების თვალსაზრისით. საინტერესოდ არის გახსნილი მთავარ გმირთა სახეები. პირველ რიგში აღსანიშნავია სონას როლის შემსრულებელი — ს. შეკოიანი. ეტყობა, ახალგაზრდა მსახიობს ბევრი უმუშავია ამ როლის მომზადებაზე, რომ ასე ბუნებრივი უშუალობით აცოცხლებს უბრალო მშრომელთა წრიდან გამოსული გონებაგაღვიძებული ქალის სახეს, გვიხსნის მის ტრაგიკულ ხვედრს.

ნალბანდ ოსკანის საპასუხისმგებლო როლში პირველად გამოვიდა მსახიობი რ. პაპოვიანი. მსახიობი ავლენს ზომიერების გრძნობას, იგი ერიდება ყალბ თეატრალობას, შინაგანად განიცდის გმირის რთულ ბუნებას. განსაკუთრებულ დამაჯერებლობას აღწევს მსახიობი მესამე მოქმედებაში, როცა მოხერხებულად მოატყუებს თავის ქალიშვილს და არყის ფულს გამოსცინცლავს.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხეთ გიე-დანელას როლზე და მის შემსრულებელ ა. ლუსინიანის (საქართველოს სსრ სახალხო არტისტი) თამაშზე. პიესის მიხედვით გიე-დანელა მეორე სუფეტური ხახის მატარებელია. დანელა ჩოფურ-კარაპეტის ძმაა. მიწისქვრის დროს ნანგრევებში მოპყვება მისი ერთადერთი გოგონა და დაიღუპება. ეს უბედურება ისეთ ძმიმე ფსიქიკურ ტრავმას მიაყენებს დანელას, რომ იგი დაჭკარგავს სულიერ წონასწორობას და ქუჩა-ქუჩა იწყებს ხეტიალს. შირვანზადეს აზრით, სულიერად დავრდომილი დანელა გაციებით უფრო მაღალი ზნეობის ადამიანია, ვიდრე მისი ვაჭრუკანა ნათესავები. ა. ლუსინიანი სწორედ ასეთად აცოცხლებს გიე-დანელას სახეს, ერთს შევნიშნავთ მხოლოდ: ვერ დავეთანხმებით მსახიობს იმაში, რომ იგი ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე ამუღის გიე-დანელას სიმღერით შესასრულებელ ადგილებს პოეტური დეკლამაციით ასრულებს. დანელა ქუჩის მუსიკოსია, ხელში საკრავი უჭირავს და აკობებდა ხანდახან ეშღერა. მაშინ გაცილებით კარგ შთაბეჭდილებას მოახდენდა მაყურებელზე.

სონას დედის როლში კარგი ვენერა აკოფიანი (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), მაგრამ ხანდახან მის თამაშში იგრძნობა ნაძალადევობა. ჩვენი აზრით, იგი ყოველთვის რომ წრფელად და დამაჯერებლად გამოხატავდეს მშობლიურ გრძნობას უდანაშაულოდ გაუბედურებული შვილის მიმართ, მაყურებლის მეტ თანაგრძნობას მოიხვეჭდა.

საინტერესო სახე შექმნა წ. ვნუირმა ცრუმორწმუნეობით დაბრმავებული დედამთილის ზარნაშანის როლში, ა. არშაკუნმა — (სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი) ჩოფურ-კარაპეტის როლში, ვ. ეღშატიანმა — მურადის როლში, ა. ეკმკორიანმა — ცბიერ და ბოროტ ჯავარიანის როლში და სხვ.

სპექტაკლი მხატვრულად გაფორმა რ. ნალბანდიანმა (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე). მელოდიერია და სპექტაკლისათვის შესატყვისი კომპოზიტორ ნ. მკრტჩიანის (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) მუსიკა.

„ავი სული“ დამაჯერებლად გვიხატავს ძმიმე წარსულის ქარტეხილებში მოხვედრილი ადამიანების ტრაგედიას. სპექტაკლიდან მიღებული ასეთი შთაბეჭდილების საერთო ფონზე უფრო გრწყინვალედ გამოიყურება ჩვენი დღევანდელობა, ჩვენი აწმყო და ამაშია ამ სპექტაკლის მთავარი ღირსებაც.

არჩ. დავითიანი.

სურათებზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) **მსახიობი რ. პაპოვიანი** (ვოსკანი), **საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ლუსინიანი** (გიე-დანელა) **და მსახიობი ს. შეკოიანი** (სონა).

ნათელი პროგრამა

ვ. ა. ზორინის პრეს-კონფერენცია

ჟენევა, 16 მარტი, (საკადესის სპეც. კორ.). დღეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა 10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში ვ. ა. ზორინმა ერების სასახლეში გამართა პრეს-კონფერენცია.

საკითხებს, რომლებსაც ამჟამად იხილავს 10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი, განაცხადა ვ. ა. ზორინმა, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. კომიტეტს დეტალური განხილვისათვის გადაეცემული აქვს საბჭოთა წინადადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, რომელიც 1959 წლის 18 სექტემბერს საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ნ. ს. ხრუშჩოვმა შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე.

განიარაღების საბჭოთა პროგრამა ითვალისწინებს საყოველთაო და სრული განიარაღების ყველა ღონისძიების განხორციელებას სამ ეტაპად ოთხი წლის პერიოდის მანძილზე შესაბამისი საერთაშორისო კონტროლით.

გააშუქა რა განიარაღების საბჭოთა პროგრამა, საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ითვალისწინებს იმას, რომ ჯერ კიდევ ამ პროგრამის განხორციელების დაწყებამდე მიღწეულ იქნება შეთანხმება ყველა სახეობის ატომური იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტის შესახებ და ამი გადაიდგმება პირველი ნაბიჯი გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტისა და ატომური განიარაღების დაწყებისაკენ. როგორც ღონისძიება საყოველთაო და სრული განიარაღების პროგრამის პირველი ეტაპისათვის, განაგრძო ვ. ა. ზორინმა, მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შემცირება 1.700 ათასი კაცის დონემდე, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთისა — 650 ათასი კაცის დონემდე, ხოლო ყველა სხვა სახელმწიფოსი—იმ დონემდე, რომელიც შეთანხმებულ იქნება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სპეციალურ სესიაზე ან მსოფლიო კონფერენციაზე საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

გამოცდილება ცხადყოფს, რომ შეიარაღებული ძალების ასეთი ფარგლებში შემცირებას არ დასჭირდება ერთ წელიწადზე მეტი ან, უკიდურეს შემთხვევაში, წელიწადნახევარზე მეტი. საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების შემცირებას 1955-1958 წლებში 2.140 ათასი კაცით დასჭირდა დაახლოებით 3 წელი, სხვანაირად რომ ვთქვათ წელიწადში ხორციელდებოდა 700 ათასამდე კაცის შემცირება.

შეიარაღებული ძალების ასეთი სერიოზული შემცირება, აღნიშნა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, იმის მაჩვენებელი იქნება, რომ დიდ სახელმწიფოებს სერიოზული განზრახვები აქვთ საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციის საქმეში, რომ მათ გადაწყვეტილი აქვთ განახორციელონ შეიდობისა და სახელმწიფოებს შორის ნამდვილი ნდობის დამყარების პოლიტიკა.

შეეხო რა შეიარაღებული ძალების შემცირებისადმი კონტროლს, ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთმა კონტროლმა უნდა უზრუნველყოს ის, რომ ყველა სახელმწიფომ შეასრულოს შესაბამისი ვალდებულებანი. არის წინადადება შეიქმნას საერთაშორისო საკონტროლო ორგანო, რომელსაც სახელმწიფოები წარუდგენენ ცნობებს თავიანთი შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შესახებ. საკონტროლო მექანიზმი დაიწყებს მოქმედებას იმავე დროს, როცა დაიწყება პირველი ეტაპის განმავლობაში შესამცირებელი ჯარების დაშლა, რათა უზრუნველყოთ, რომ საერთაშორისო კონტროლიორებმა შეამოწმონ, თუ რამდენად ზუსტად და განუხრელად ახორციელებენ სახელმწიფოები ასეთი შემცირების შეთანხმებულ ღონისძიებებს.

გათვალისწინებულია საყოველთაო და სრული განიარაღების მეორე ეტაპზე დამთავრდეს იმ შეიარაღებული ძალების ლიკვიდაცია, რომლებიც სახელმწიფოებს დარჩათ, მოისპოს ყველა სამხედრო ბაზა სხვის ტერიტორიებზე. წაყენილ იქნენ თავიანთი ეროვნული საზღვრების ფარგლებში და დაიშალონ უცხოეთის მთელი ჯარები, რომლებიც ამჟამად სხვის ტერიტორიებზე, იმყოფებიან.

შეიარაღებული ძალების სრული ლიკვიდაციისთვის საკმარისი იქნება ერთნახევარი, სულ დიდი — ორი წელიწადი. ამავე ხნის განმავლობაში სავსებით შეიძლება განხორციელდეს აგრეთვე ისეთი ღონისძიებები, როგორიც არის უცხოეთის ბაზების ლიკვიდაცია სხვის ტერიტორიებზე, ამ ტერიტორიებიდან უცხოეთის ჯარების წაყვანა თავიანთი ეროვნული საზღვრების ფარგლებში და მათი დაშლა, აგრეთვე ჩვეულებრივი ტიპის ყველა სახეობის იარაღის წარმოების შეწყვეტა. მეორე ეტაპის ღონისძიებები განხორციელდება ისეთივე მტკიცე საერთაშორისო კონტროლით, როგორც პირველი ეტაპის ღონისძიებები.

მესამე ეტაპზე საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა პროგრამის შესაბამისად უნდა მოისპოს ყველა სახეობის ატომგაულისა და რაკეტული იარაღი და სავსებით დამთავრდეს სახელმწიფოთა მთელი სამხედრო მანქანის ლიკვიდაცია. მესამე ეტაპის ღონისძიებათა პროგრამის განხორციელება არ გამოიწვევს დიდ სიძნელეებს, და ამისათვის საჭირო იქნება დაახლოებით ერთი წელიწადი. ჩვენ მიგვაჩნია, განაცხადა დასასრულ ვ. ა. ზორინმა, რომ ეს არის განიარაღების პრობლემის უმოკლეს ვადებში გადაჭრის არა მარტო რადიკალური პროგრამა თავისი შინაარსით, არამედ აგრეთვე სავსებით რეალური პროგრამა.

ბონელი კანცლერის ცილისწამება

ვაშინგტონი, 17 მარტი. (საკადესი). დასავლეთ გერმანიის კანცლერი ადენაუერი გუშინ გამოვიდა ვაშინგტონის პრესის ეროვნულ კლუბში. დიდი ხანია ამ კლუბში არ გაუგონიათ ასეთი აშკარა მოწოდება იმისადმი, რომ დაუბრუნდნენ დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობის გაძაბვების წინანდელ მკაცრ კურსს, ცივი ომის უარესი დროის აღორძინებას.

ბონელმა კანცლერმა თავისი სიტყვა იმ მიზეზთა ახსნით დაიწყო, რომლებმაც იგი დღეს ვაშინგტონში ჩამოიყვანეს:

„მე ხშირად მტკივა თავი იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზში ამ გზაფხულზე უნდა გაიმართოს უმაღლესი დონის თათბირი“.

ადენაუერმა აგრეთვე განაცხადა, რომ უმაღლესი დონის მომავალი თათბირის წარმატება მთლიანად მხოლოდ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ოთხი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელები „კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების“ საკითხში.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ადენაუერმა მიუძღვნა გერმანიის პრობლემას და, კერძოდ, ბერლინის საკითხს. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა კატეგორიულად გაოლაშქრა ბერლინში მდგომარეობის ნორმალიზაციის წინააღმდეგ, განაცხადა რა, რომ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობა სავსებით კმაყოფილია ხელოვნურად გაყოფილ ქალაქში ცხოვრებით. ადენაუერმა შეიტანა წინადადება აგრეთვე, რომ დასავლეთ ბერლინში მოეწყოს პლებისციტი დასავლეთის მაოკუპირებელ სახელმწიფოთა კონტროლით.

დასახა რა საბჭოთა წინადადებანი ბერლინის საკითხზე საბჭოთა კავშირის მისწრაფებად — „მიიტაცოს დასავლეთი ბერლინი“, ადენაუერმა ამ თეზისის დასაბუთებლად ცილისმწამებლურ გამოხდომებს მიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ბონის კანცლერი იქამდე მივიდა, რომ საბჭოთა კოსმოსური რაკეტის ამასწინანდელი გაშვება წყნარი ოკეანის რაიონში იმის დამამტკიცებელ საბუთად გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს არა სურს მიაღწიოს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

ოგერლენდერი გადადგება

ბონი, 16 მარტი. (საკადესი). გაზეთი „ნოიე რაინ-ცაიტუნგი“ დღეს იუწყება, რომ ბონის ადგილგადანაცვლებული პირების საქმეთა მინისტრის ობერლენდერის გადადგომა ახლა გადაწყვეტილ საქმედ მიაჩნიათ. როგორც ცნობილია, ობერლენდერი მონაწილეობას იღებდა ჰიტლერელთა მიერ ლვოვში ჩადენილ მასობრივ მკვლელობაში.

გაზეთი იუწყება, რომ ობერლენდერის გადადგომა მოხდება მას შემდეგ, რაც დამთავრდება ბონის პროკურატურის გამოძიება. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის თვალსაჩინო ხელმძღვანელებმა, მათ შორის ბუნდესტაგის თავმჯდომარემ გერსტენმაიერმა, ობერლენდერს გადადგომა ურჩიეს.



გერმანიის იმპერიალიზმისათვის ესპანეთში მიმავალი გზა ახალი როდია. ბონის თავდაცვის მინისტრი შტრაუსი გატეკეინილი გზით, ჰიტლერის კვალზე მიდის. (გაზეთებიდან).

ოქტაკვიდინგზლად სამეფო სამთავრო

ნიუ-იორკი, 16 მარტი, (საკადესი). გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ სარედაქციო სტატიაში შეშფოთებას გამოთქვამს პრესის ცნობებთან დაკავშირებთან, რომ ამერიკის სამხედრო მანევრების დროს ამა წლის იანვარში ამერიკის „მატადორის“ მარკის რაკეტა, რომელიც კუნძულ ტაივანიდან გაუშვეს, კურსიდან გადაიხარა და წავიდა კონტინენტური ჩინეთის სანაპიროსაკენ საბედნიეროდ. იგი ტაივანის სრუტეში ჩავარდა.

ეს ინცინდენტი, აცხადებს გაზეთი, „იმის ახალი გამაფრთხილებელია, რომ ჩვენ ვთამაშობთ მომაკვდინებლად საშიში სათამაშოებით, რომლებსაც შეუძლიათ გაგვისლტნენ ხელიდან, რაც უნდა ხშირად ვეუბნებოდეთ ჩვენს თავს, რომ მათ კონტროლს უწევენ“. გაზეთი მოგვაგონებს, რომ დღემდე ჰაერში პატრულობენ წყალბადის ბომბებით შეიარაღებული ამერიკული თვითმფრინავები, რომ რაკეტული ბაზები ყოველთვის საბრძოლო მზადყოფნაში არიან. „თუმცა“, — „წერს გაზეთი, — სამხედრო სტრატეგები ამტკიცებენ, რომ მიღებულია სიფრთხილის ყველა საჭირო ღონისძიება შეცდომის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც შეუძლია დედამიწაზე ჯოჯოხეთი გამოიწვიოს, ჩვენ კარგად ვცხადყავით, რომ შეიძლება მოხდეს საშინელი უბედური შემთხვევები“.

პირველი ყაიმი

მოსკოვი. 17 მარტი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს დედაქალაქის პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე მ. ბოტვინიკისა და მ. ტალის მატჩის მეორე პარტია.

ისევე, როგორც პირველ დღეს, დარბაზი ვერ იტევდა ყველა მსურველს. ჭადრაკის მოყვარულთათვის თეატრის წინ ბულვარში მოეწყო დიდი სადემონსტრაციო დაფა, სადაც უჩვენებდნენ ბრძოლის მსვლელობას.

სამწუხაროდ, გუშინ მოსკოვში დაიწყო ყინვები, სალამოს თერმომეტრი უჩვენებდა —18 გრადუსს, მაგრამ ამან მაინც ვერ შეაშინა გულშემატკივრები, რომლებიც ქუჩაში არ მოშორებიან სადემონსტრაციო დაფას და ბოლომდე ადევნებდნენ თვალს ორთაბრძოლის მსვლელობას.

თავის სტილის შესაბამისად მსოფლიო ჩემპიონმა აირჩია დახურული დებიუტი. ძველინდურ დაცვაში თავიდანვე დაიწყო ფიგურების მანევრირება. გაცვლებით მ. ტალმა შეძლო მდგომარეობის გამარტივება და 21-ე სვლაზე მოწინააღმდეგეს ყაიმი შესთავაზა.

მიუხედავად იმისა, რომ დაფაზე მეტოქეებს სხვადასხვა ფერის რკუტები ჰყავდათ, მ. ბოტვინიკმა უარყო მ. ტალის წინადადება, თუმცა თანდათანობით ცხადი გახდა, რომ შავებს იმდენად დიდი და თავისუფალი მანევრირების საშუალება ჰქონდათ, რომ თეთრების უპირატესობა არ ჩანდა.

45-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა.

* * *

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა სახელით მე ვთხოვე მსოფლიო ექს-ჩემპიონ მაქს ეივეს გამოთქვა აზრი მიმდინარე მატჩის შესახებ. მან კმაყოფილებით გამიზიარა თავის შეხედულება.

— როდესაც მეკითხებიან, — ამბობს მაქს ეივე, — ახალგაზრდა რიგელი გროსმაისტერის მ. ტალის შესახებ, არ შემიძლია მისი ორიგინალური და შემოქმედებითი ჩანაფიქრები არ შევადარო პ. მორფის ცეცხლოვან ბრძოლას. ამასთანავე მ. ტალში ვხედავ თითქმის ყველა მსოფლიო ჩემპიონის გარკვეულ თვისებებს.

მაგალითად, ე. ლასკერიდან — ფსიქოლოგიურ მიდგომას, ა. ალიოხინიდან — ქარიშხალისებურ კომბინაციურ ტემპს, მ. ბოტვინიკიდან — მჩქეფარე ენერგიას და სხვ.

თუ მ. ბოტვინიკის შემოქმედებითი მწვერვალები ცნობილია მსოფლიოს საჭადრაკო საზოგადოებრიობისათვის, მ. ტალის შესაძლებლობანი დაუსრულებლად უცნობია, მით უმეტეს, რომ ამ მატჩამდე მოწინააღმდეგეები — მ. ბოტვინიკი და მ. ტალი ერთმანეთს არ შეხვედრიან.

ვინ გაიმარჯვებს? — მ. ბოტვინიკი თუ მ. ტალი? შეიძლება ვიკამათოთ ბრძოლის სხვადასხვა სტილზე, მაგრამ შედეგზე ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით.

ვ. რაგოზინი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

მეორე პარტია

ძველინდური დაცვა

მ. ბოტვინიკი (თეთრები) — მ. ტალი (შავები).

1. d4 მf6 2. c4 c5 3. d5 e6 4. მc3 e:d 5. cd d6 6. მf3 g6 7. კg5 კg7 8. მd2 h6 9. კh4 g5 10. კg3 მh5 11. მe4 მ:g3 12. hg 0—0 13. e3 ლe7 14. კe2 ეd8 15. 0—0 მd7 16. a4 მe5 17. მ:e5 ლ:e5 18. a5 ეb8 19. ეa2 კd7 20. მb5 კ:b5 21. კ:b5. აკ მ. ტალმა მსოფლიო ჩემპიონს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ მ. ბოტვინიკმა იგი არ მიიღო. 21... b6 22. a6 ეbc8 23. ლd3 ეc7 24. b3 ლc3 25. ლ:c3 კ:c3 26. ეc2 კf6 27. g4 ეe7 28. ეc4 ეc8 29. g3 კg7 30. ეd1 ეf8 31. ეd3 მgh7 32. მgg2 მgg6 33. ეd1 h5 34. g:h+მg:h5 35. g4+მgg6 36. ეc2 ეh8 37. კd3+მgf6 38. მgg3 ეce8 39. კb5 ეe4 40. ეc4 g:c4 41. b:c მge7 42. კa4 კe5+ 43. მgf3 ეh4 44. ეg1 f5—ყაიმი.

პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

გუშინ თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში მჩატე, მსუბუქ, საშუალო და მძიმე წონის მოჭიდავეთათვის. მოეწყო სპორტსმენთა პარადი, ალამი აღმართეს ჩემპიონებმა.

შეჯიბრება ერთდროულად ორ ხალიჩაზე მიმდინარეობს. გუშინ მოეწყო პირველი და მეორე წრის შეხვედრები. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს ოთხივე წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა. მათ შორის იყვნენ მუჭედლიშვილი, არსენიანი, ზამიატინი, სიხიაველი, სხირტლაძე, ბარასოვი, კანდელაკი და სხვ.

ხალიჩებზე გამოვიდნენ მსუბუქი და მძიმე წონის მოჭიდავეები. მსუბუქ წონაში საინტერესოდ წარიმართა ჯინჭარაძისა და გაჯიევის შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ჯინჭარაძემ სძლია მოწინააღმდეგეს და სუფთა გამარჯვება მოიპოვა. სპარტაკელმა გვიმრაძემ ქულებით მოუგო მოსკალიოოს („ბურევესტნიკი“). საბჭოთა არმიის წარმომადგენელმა ჯღამაძემ სუფთა გამარჯვება მოიპოვა ჩერნენკოთან. ე. მაისურაძემ წაგო ცვიკევლიშთან და 4 საჯარიმო ქულა მიიღო.

მძიმე წონაში კანდელაკმა ორივე ბეჭზე დასცა ჯორბენაძე. ხოლო ვარდოშვილი ქულებით მოუგო საბჭოთა არმიის სპორტსმენს სერგიეევს. დინამოელმა სიტკომ თავის თანაკლუბელ ვიხრისტიუკთან ქულებით წაგო შეხვედრა.

მჩატე წონაში ყურადღების ცენტრში იდგა ძველი მეტოქეების არსენიანისა და კაზაროვის ორთაბრძოლა. სსრ კავშირის ჩემპიონმა არსენიანმა სუსტად ჩაატარა შეჯიბრება ჩოქბჯენში და ქულებით დამარცხება განაცადა. ძლიერი მეტოქე ჰყავდა მჭედლიშვილს. იგი გამოდიოდა რიეკინის (საბჭოთა არმია) წინააღმდეგ. 7 წუთსა და 10 წამში სუფთა გამარჯვება მოიპოვა მჭედლიშვილმა. ა. მაისურაძემ დაამარცხა ლაგუევი, შახოვმა — წიკლაური.

მაყურებლები დიდი ინტერესით მოელოდნენ სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონისა და მსოფლიოს ჩემპიონის სხირტლაძის (საშუალო წონა) გამოსვლას. მისი მოწინააღმდეგე იყო ლოკომოტიველი ლადეტა (ვილნიუსი). სხირტლაძემ, რომელიც ჩოქბჯენში ბრძოლის ვირტუოზია, სუფთა გამარჯვება მოიპოვა. შეუპოვარი იყო გობეჯიშვილისა და ესტონეთის ჩემპიონის გრიუნმანის ორთაბრძოლა. პასიური ჭიდაობისათვის გრიუნმანმა ბოლო წუთში გაფრთხილება მიიღო და შეხვედრა წაგო. დავლიანიძემ დაამარცხა ბაქოელი ვახანოვი.

შეჯიბრება გრძელდება.

საჭადრაკო ჩემპიონატი

ქუთაისი. 17 მარტი. (სპეც. კორ.) გრძელდება საქართველოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. დღეს გაიმართა მეორე ტური.

ოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა მორიგი გამარჯვება მოიპოვა, ამჯერად მან დამარცხა ნ. ჯანაშია. ქ. გოგიავამ მოუგო მ. ლოლაშვილს, ლ. ნაჭყებიამ — მ. ჩოხაძეს, ნ. მანველოვამ — ო. შათირიშვილს. მ. ტოგოლიძე - გ. ბუცხრიკიძის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი.

ბათუმი. 17 მარტი. (სპეც. კორ.). დღეს მოეწყო საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატის უკანასკნელ ტურებში გადადებული პარტიების დამთავრება.

ოსტატობის კანდიდატმა თ. გიორგაძემ ორი დამარცხება განიცადა. მან წაგო პარტიები ა. ბუსლაევთან და რ. შენგელაიასთან. ა. ბლაგიძემ მოუგო გ. ჭანტურიას, ჰ. არნშტეინმა — ა. გაგუას, ე. გეორსიამ — ა. რაზოვსკის, ა. ბუსლაევმა — გ. გამრეკელს.

თ. კიკიანი - ა. ბრეიტმანისა და ე. გეორსიამა - ჰ. არნშტეინის პარტიები ყაიმით დამთავრდა. 4 პარტია კვლავ გადაიდო.

ბოლოსწინა

თბილისის „დინამო“ — მეორე ადგილზე

ლენინგრადი. 17 მარტი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების უკანასკნელი მატჩები კალათბურთში.

თბილისის დინამოელები, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კილაძე, ინწკირველი, ლეფავა, უგრეხელიძე და მოსეშვილი, შეხვდნენ ლენინგრადის „სპარტაკს“. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 71 : 65.

სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონმა რიგის სკვო-მ დამარცხება განიცადა კიევის სკიფ-თან — 90 : 94.

ამრიგად, საკავშირო ჩემპიონატი კალათბურთში დამთავრდა. როგორც ვიუწყებოდით ჩვენი ქვეყნის 1960 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა (11 ქულა).

მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვეს თბილისის დინამოელებმა (8 ქულა). მესამე ადგილზე გამოვიდა რიგის ვეფი.

მატჩი როტერდამში

როტერდამი. 17 მარტი. ჰოლანდიაში მყოფმა სსრ კავშირის საკლუბო ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის წევრმა ზ. კალოევმა განაცხადა:

დღეს საბჭოთა ფეხბურთელებმა გამართეს პირველი საერთაშორისო ამხანაგური მატჩი როტერდამის საკლუბო გუნდთან „ფეიენორდთან“, რომელიც გაძლიერებული იყო სხვა კლუბების ფეხბურთელებთან.

ჩვენი შემადგენლობა ასეთი იყო: იაშინი, კეხარეული, მასლიონკინი, კუზნეცოვი, ვოინოვი, ცარევი, მეტრეველი, ივანოვი, პონედელნიკი, ბუბუკინი, ილინი.

პირველი ტაიმი ხასიათდებოდა მწვავე ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 0 : 0. შეჯიბრების მეორე ნახევარში პონედელნიკის მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თამაშში. გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1 : 0.

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

დ. ჯონქაძის სამშობლოში

დუშეთიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით ახვალთ თუ არა ერთ მაღალ გორაკზე, თვალწინ მშვენიერი სანახაობა გადაგეშლებათ. ქვემოთ, მთათა სარტყელში მოქცეულ ტაფობში სოფელი ყვავილი მოჩანს თავისი ახალი სახლებით, საზოგადოებრივი შენობებითა და ბაღებით, რომლებიც ზაფხულობით განსაკუთრებულ შნოსა და იერს მატებენ აქაურობას. შორს, ღრუბლების საფლეთებში დათოვლილი კავკასიონის მწვერვალები აღმართულან.

ქართლის მთიანეთის ამ პატარა სოფელში 1830 წლის 18 მარტს დაიბადა „სურამის ციხის“ ცნობილი ავტორი დანიელ ჭონქაძე.

სოფელში ყურადღებას იპყრობს შვიდწლიანი სკოლის თეთრად შეფეთქილი შენობა. ამ შენობის ქვედა სართულში დღემდეა შემონახული ჭონქაძეების ბანაი სახლის ნაწილი. მნახველი უემჟველად იფიქრებს, თუ დანიელის მამას, რომელიც მღვდლად იყო სოფელ ყვავილში, ამ მიწურში უხდებოდა ცხოვრება, რა ცხოვრება ექნებოდათ ყვავილელ დაბეჩავებულ გლეხებს!..

დღეს სულ სხვაა სოფელი ყვავილი, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ ამ 130 წლის წინათაც არხევდა გაზაფხულის ნიავი ფერხულში ჩაბმული ვაჟკაცებივით ჩამწკრივებულ ალვისხეებს. მაგრამ გაზაფხულის ნიავიც არის და გაზაფხულის ნიავიც!

ყვავილში შვიდწლიანი სკოლის გარდა არის მდიდარი ბიბლიოთეკა და სამკითხველო, სამედიცინო პუნქტი, მაღაზია, რადიოკვანძი. ლამაზია ხოფელი დღისით, ხოლო კიდევ უფრო მიმზიდველია ღამით, როცა ილიჩის ნათურები ვარსკვლავებს ეჯიბრებიან.

ყვავილის შვიდწლიან სკოლაში ასამდე მოსწავლე ეუფლება მეცნიერების საფუძვლებს. სკოლასთან გახსნილია პატარა ინტერნატი იმ ბავშვებისათვის, რომლებიც შორეული სოფლებიდან არიან ჩამოსულნი. სკოლის დირექტორმა გიორგი ჯავახიშვილმა და მასწავლებელმა თამარ ტყემალაძემ გაგვაცნეს მწერლის პატარა სუნნი, მესამეკლასელი ფრიადოსანი მოსწავლე დანიელ ჭონქაძე, რომელსაც სახელოვანი წინაპრისათვის ლექსიც კი უძღვნია.

ნამდვილად გულდასაწყვეტია, რომ სოფელ ყვავილში დღემდე ვერ მოხერხდა არა მარტო მწერლის სახლმუზეუმის გახსნა, არამედ უბრალოდ მემორიალური დაფის გაკეთება.

ჯერ იქნება, თუ წელს მაინც, დანიელ ჭონქაძის დაბადების 130 წლისთავსა და გარდაცვალების 100 წლისთავზე სათანადო ყურადღება მიექცევა ამ საკითხს.

ა. თომაძე.
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჰიტლერის კვალზე.
ნახატი გ. ლომიძისა.

18 მარტი

თბილისის თეატრებსა და კინოებში

ოპერისა და ბალეტის — ალი (მე-4